ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 79 დღე



№ 118 (12 493) 21 მაისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი




**დონადონი: დელ პიეროც, კასანოც**

მსოფლიო ფეხბურთი »»» 6-10

**გმადლობთ და ნახვამდის!**

ინტერვიუ დუშან უჰრინთან »»» 4-5



# თქვენ მე კლაუსი არ გეგონოთ!

## სეგრტმა შემადგენლობა დაასახელა და ბრჭყალებიც გამოაჩინა

## დისციპლინა უპირველეს ყოვლისა!

**სეგრტი: საქართველოში ალექსიძისნაირი ფორვარდი არ არის**

პრესკონფერენცია »»» 3

# დღეს, ბრძოლა მოსკოვისთვის

**ჩემპიონთა ლიგა სრულიად ინგლისური ფინალი. მანჩესტერი-ჩელსი**



»»» 8-9



# ზესტაფონმა ძალა დაამტკიცა

**ზესტაფონი-ამერი**

**3:1**

20.05. ზესტაფონი. ცენტრალური მაყურებელი

1:0 ვიეირა (9. გელაშვილის პასით), 1:1 რ. გოცირიძე (45), 2:1 გელაშვილი (60. ბ. გოცირიძის პასით), 3:1 ნ.კვასხვაძე (89. ხიდეშელის პასით)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - თოდუა, ლობჟანიძე, ლონლაძე (53. სანტოსი) - დაუშვილი, ონიანი, ხიდეშელი, ვიეირა (80. ბიტოო), კვასხვაძე - გელაშვილი, გოცირიძე (75. იონანიძე)

*სათადარიგოები: ჭანტურია, საცერაძე, კამლაძე, ჟონატასი*

ამერი: ნადირაშვილი - მემარნიშვილი, დავითნიძე, მესხი, ელბაქიძე - დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (64. შალამბერიძე), დეკანოსიძე (85. სილაგავა) - რ.გოცირიძე (80.ჩიმაკაძე), ტატანაშვილი

*სათადარიგოები: ქვაჩახია, ხატიაშვილი, გვაძაბია, ხურციძე*

გაფრთხილება: გელაშვილი, მესხი, შალამბერიძე

არბიტრი: გ. კოკაჩეიშვილი

**8.** „ამერის“ სწრაფ შეტევას დოლიძე აგვირგვინებდა, თუმცა მისი დარტყმა მიზანს ასცდა.

**9.** 1:0 - გელაშვილმა მეკარის ბაქნისკენ დაძრულ ვიეირას ჩაუგდო ბურთი, ბრაზილიელმა ერთი მოძრაობით მუხლით მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

**20.** დიდავას გადაცემის შემდეგ რევაზ გოცირიძემ შორიდან დაჰკრა... ზესტაფონი გოლისგან ხარიხამ იხსნა.

**24.** ხიდეშელმა მეტოქე ჩამოიცილა და მარცხენა დაბალ კუთხეში მოჭრილი დაარტყა, თუმცა ოდნავ ააცილა.

**45.** 1:1 - ვიეირა უხეშად შეცდა. უკან გაუგებარი გადაცემა გააკეთა და რევაზ გოცირიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. ამერის თავდამსხმელმა საჩუქარი ბოლომდე შეირგო.

**60.** 2:1 - ბექა გოცირიძემ გელაშვილი მეკარეს შეატოვა.

**66.** შალამბერიძემ თავით გაიტანა, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა, რამაც სტუმრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

**84.** კუთხურის გათამაშების შემდეგ ხიდეშელმა თავით ძლიერად დაარტყა, ნადირაშვილა რომ იტყვიან „მკვდარი ბურთი“ მოიგერია.

**89.** 3:1 - ხიდეშელის ჩაწოდების შემდეგ იონანიძემ ბურთი გაატარა და მცველები გაიტყუა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კვასხვაძემ ბურთი მიწაზე დაუშვებლად ნადირაშვილს თავზე გადაუგდო.

თასის მოპოვებით გამოწვეული სიხარული ზესტაფონში ოდნავადაც არ განელებულა, ქალაქში დღემდე აღნიშნავენ ამ გამარჯვებას. სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ეიფორიიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყვნენ, თამაშის დაწყებამდე ირჩეოდა ფინალის დასამახსოვრებელი ეპიზოდები, მატჩის შემდეგ განვითარებული ამბები, თუ როგორ სცადეს ღვინით სავსე თასის დაცლა, მაგრამ... თასში ბევრი ჩადის და დიდი ალტკინების მიუხედავად, მისი ნახევრამდე შესმაც ვერ მოუხერხებიათ... მალე გულშემატკივრებს „ზესტაფონის“ ფანკლუბის ხელმძღვანელი, შოუმენი **ნიკა ქავთარაძე** შეუერთდა და თასის მფლობელებს ღირსეული დახვედრა მოუწყვეს. ფანებმა ფეხბურთელებს ერთი „დავალებაც“ მისცეს - წინა ორი შეხვედრის მსგავსად, ამჯერად „ამერთან“ 2:1 არ იკმაროთო...

იშვიათია, როცა თასის ფინალის შემდეგ გუნდები ჩემპიონატის მორიგ ტურში ხვდებიან ერთმანეთს, „ზესტაფონმა“ და „ამერმა“ 4 დღის წინათ თასის ფინალში ითამაშეს, გუშინ კი ჩემპიონატში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თითქოსდა უმოტივაციო შეხვედრას ორივე გუნდი სერიოზულად მოეკიდა. გუნდებმა მოედანზე საბრძოლო შემადგენლობები გამოიყვანეს და საკმაოდ ლაღი ფეხბურთიც გაჩაღდა. „ზესტაფონი“ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „ამერზე“ ძლიერია და თასს ღირსეულად დაეუფლა, თბილისელები კი რევანშისთვის იყვნენ განწყობილი. პირველი ტაიმი „ამერის“ ოდნავი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ზესტაფონელებმა მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს.

მეორე ნახევარი სანახაობრივად უკეთესი გამოდგა, გუნდებმა გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს და დასამახსოვრებელი ეპიზოდებიც მეტი შეიქმნა. ძირითადად „ზესტაფონი“ უტევდა, მასპინძლებს დაღლა არ ეტყობოდათ, ისინი მეტოქეს უფრო და უფრო ავიწროვებდნენ და ამას შედეგიც უნდა გამოელო. მატჩის მიწურულს კი მასპინძლებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს, „ამერის“ კართან მომენტი-მომენტზე იქმნებოდა და რომ არა მეკარე **ნადირაშვილის** შესანიშნავი თამაში, ზესტაფონელები გაცილებით დიდი ანგარიშით მოიგებდნენ.

მატჩის შემდეგ „ზესტაფონელებმა“ თასი კიდევ ერთხელ აღმართეს და გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. „ზესტაფონს“ უეფას თასის მატჩები „მიხეილ მესხის“ სტადიონზე უნდა გაემართა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, ევროპულ კლუბებს მშობლიურ არენაზე უმასპინძლოს, რისთვისაც სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებასაც მოასწრებენ.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

**სიონი-მერანი**

**5:0**

20.05. ბოლნისი. თ. სტეფანია მაყურებელი

1:0 ჩასემი (31), 2:0 სანიკიძე (37. ჩასემის პასით), 3:0 სანიკიძე (77. პენ), 4:0 ჯიქია (80 ჭელიძის პასით), 5:0 ავალიანი (90)

სიონი: იაშვილი, შავგულიძე, ბოიომო, სვანიძე, ქურასბედიანი, ბაჯელიძე (55. გ. ჭელიძე), ავალიანი, სანიკიძე (80. კვიტაიშვილი), ჯიქია, ჩასემი, ნიზაძე

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ზ. ჭელიძე, ნაყოფია, ქაშაკიძე, ოქროპირიძე*

მერანი: თევდორაძე, ა. კალაძე, აფშილავა, არველაძე, იაგო დეისაძე, ახალაია, ჭიკაიძე, ნაკაშიძე, არაყიშვილი, კიკალიშვილი, კიელიძე, (86. პატარქალიშვილი)

*სათადარიგო: ჯიხვაძე*

გაფრთხილება: აფშილავა (19), ჯიქია (52), დეისაძე (65)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**მესხეთი-ვიტ ჯორჯია**

**2:0**

20.05. ბოლნისი. თ. სტეფანია მაყურებელი

1:0 ინასარიძე (75. პენ), 2:0 სამადაშვილი (78)

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, თელიაშვილი, კ. ხანიშვილი (87. ცნობილაძე), ლეკიშვილი, გვირჯიშვილი, სუდაძე (46. სამადაშვილი), ინასარიძე, მუშკუდიანი (ი. თაყაძე 84)

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, ყველაშვილი, კაიშაური, რაზმაძე, ინჯგია (87. ჯანელიძე), მაისაშვილი, კვალინაძე, ბერიაშვილი (46. ცხადაძე), ლიპარტია

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (49), ყველაშვილი (54), მაისაშვილი (82)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ყველაფერი ლოკომოტივზე შესრულდა

**ლოკომოტივი-ბათუმი**

**4:1**

20.05. თბილისი. მ. მესხი მაყურებელი

1:0 ალექსიძე(4), 1:1 ქებაძე(80), 2:1 ფარულავა(81), 3:1 ალექსიძე(84), 4:1 გ. კვახაძე (88)

ლოკომოტივი: ალავიძე- ფოფხაძე, ფარულავა, ჩაგელიშვილი, ქუხილავა (85. გ. კვახაძე)- ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, გილაური (74. ქუცურუა), დარასელია- დ. ჩაგელიშვილი (68. ბუდლაშვილი) , ალექსიძე.

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ბარბაქაძე, ბახტაძე, კაჭახიძე

ბათუმი: თოთლაძე - თევდორაძე, გალოგრე, მაკარიანი, დემურაძე - ფარტენაძე, კ. მახარაძე, ბ. მახარაძე (74. კაკაბაძე), ქებაძე, ბეჟანიძე (59. ცანავა)- ტულუში (66 ა. ბაჯელიძე)

სათადარიგო: კუნჭულია

გაფრთხილება: ფარულავა(59), ჩხეტიანი (68).

არბიტრი: ლ. სილაგავა

**4.** 1:0 - დავით ჩაგელიშვილი ბათუმელთა საჯარიმოში შეიჭრა, რატი ალექსიძეს გადააწოდა ბურთი, რომელმაც ერთი მცველი გააცურა და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

**25.** ალექსიძე ერთ მეტოქეს გასცდა და ოციოდე მეტრიდან ხარიხას გაარტყა.

**51.** ჩხეტიანის პასით ალექსიძე კარგ პოზიციაზე გავიდა - მისი დარტყმული ირაკლი თოთლაძემ მოიგერია.

**58.** ვიტალი დარასელიამ კუთხურიდან ისეთი ჩააბზრიალა, ძელის გარდა ბურთი ყველას ასცდა.

**80.** 1:1 - ექსლოკომოტიველმა ლაშა ქებაძემ შორიდან ძლიერად, მეკარისთვის ძალიან უხერხული ტრაექტორიით დაარტყა და ლამაზი გოლიც გაიტანა.

**81.** 2:1 - ლევან ცქიტიშვილის ფლანგურ ჯარიმას თემურ ფარულავამ შეაგება საგოლე თავური.

**84.** 3:1 - დარასელიას ფლანგურ ჯარიმას შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ალექსიძემ დაჰკრა თავი და ბურთი ცხრიანში ჩასვა.

**88.** ცქიტიშვილის მიერ შესრულებულ საჯარიმოს გიორგი კვახაძის თავური გოლი მოჰყვა.



ალექსიძემ მორიგი დუბლი მიითვალა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თბილისის „ლოკომოტივმა“ დასახულ მიზანს ბოლო ტურში გაართვა თავი, თუმცა რომც წაეგო, უმაღლესში მაინც დარჩებოდა, რამეთუ ცხინვალის „სპარტაკი“ რუსთავის „ოლიმპს“ დაეჩაგვრინა.

მიუხედავად ხუთი გოლისა, თამაში თავლსასეირო ვერ გამოდგა - ოთხი გოლი მატჩის მიწურულს გავიდა, მანამდე კი ზლაზვნა უფრო იყო, ვიდრე შმაგი ბრძოლა.

ერთხელაც გამოირჩა **რატი ალექსიძე**. მიუხედავად არაოპტიმალური ფორმისა, ის ძალიან ფასეული ფეხბურთელი გამოდგა „ლოკომოტივისთვის“ ჩვენი ეროვნული გუნდის დროებითმა თავკაცმა **პეტარ სეგრტმა** ის სანაკრებო სიაშიც შეიყვანა.ვფიქრობთ, „ლოკომოტივში“ კიდევაა ისეთი ფეხბურთელი, ნაკრებისთვის საინტერესო რომ უნდა იყოს - ვიტალი დარასელიას ცაციას არცთუ ცოტა შეუძლია, მაგრამ ის სეგრტის გემოვნებაში ვერ ჯდება.

... ორასამდე მაყურებელს დრო ფუჭად არ დაუკარგავს, ყველა გოლი ეფექტური გამოდგა. ფეხბურთიც, პირველ რიგში, გოლით ფასობს და ჩემპიონატის ბოლო ტური იმედის ნაპერწკალს აღვივებს - იქნებ, დამდეგ სეზონში უკეთესი ჩემპიონატი გვქონდეს. სხვა რა გითხრათ, ნაწერს და გულს არ გავაწყალებთ, რაც მთავარია, ფეხბურთელებს გუშინ ტაში დაუკრეს, გავარდნილ „ბათუმსაც“, რომელიც ალბათ, საპარლამენტო არჩევნების შედეგებს განსაკუთრებული ინტერესით ელოდება - აჭარლებს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა თუ დაუდგება გვერდში, თორემ სხვა საშველი არ უჩანთ.

**დავით თავართქილაძე**

# ან კარგი, ან არაფერი

**დილა-დინამო**

**0:2**

20.05. გორი. თ. ბურჯანაძე 100 მაყურებელი

0:1 გ. კაშია (11. ოდიკაძის პასით), 0:2 ოდიკაძე (22)

დილა: კეჩხუაშვილი - ტლაშაძე, გვეტაძე, მინდიაშვილი - ლომიძე (73. კირკიტაძე), ნოზაძე, გაგნიძე (46. შატაკიშვილი), გიორგობიანი, იჩქითი (90. მარიამიძე), სადაღაშვილი

*სათადარიგოები: დადიანიძე, თუშმალიშვილი, ბალიაშვილი*

დინამო: ლორია - შ. კაშია, გ. კაშია (68. თომაშვილი), კრმკო, გველესიანი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი, ქანთარია (84. ჯიშკარიანი), აკირემი (74. ფირცხალავა)

*სათადარიგოები: ლოსაბერიძე, დობეში, ჯოხაძე, ნერგაძე*

გაფრთხილება: რატიანი (48), შ. კაშია (80)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**6.** ნოდარ ნოზაძემ მიიღო ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს და დინამოს კარის მიმართულებით დაიძრა, გასცდა რამდენიმე მეურვეს, მეკარე ლორიას, მაგრამ ველარ შეძლო ცარიელ კარში გატანა, პირით ხაზს მიღმა გაექცა ბურთი.

**11.** 0:1 - ოდიკაძის მიერ მოწოდებულ კუთხურზე ყველას გურამ კაშიამ დაასწრო და თავით გადაგზავნა ბურთი კეჩხუაშვილის კარში.

**24.** 0:2 - შეტევის მარცხენა ფლანგიდან დავით ოდიკაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა გასცდა ყველა ფეხბურთელს, ვერ მისწვდა მას ვერც ბესიკ კეჩხუაშვილი და ბურთი მეორედ გაეხვა გორელთა კარის ბადეში.

**57** ოდიკაძემ კართან ახლოს მოძებნა მიხეილ ხუციშვილი, რომლის თავური ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს.

ჩემპიონის რანგში ჩამოსულმა „დინამომ“ პირველმა გააცილა გორის „დილა“ უმაღლესი ლიგიდან. ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე ლიგიდან დაქვეითებულ მასპინძლებს ბოლო ტურში შემადგენლობაც აღარ ჰყავდათ ოპტიმალური. თუმცა „დილა“ რომელიმე ფეხბურთელის ნაკლებობაზე ბევრად უფრო დიდ ტკივილს განიცდის. ეს მატჩი ისევე, როგორც საერთოდ ფეხბურთი, გორში უკიდურესად ცუდი სანახავი იყო. უინტერესო მატჩი, ანუ არასახარბიელო სანახაობა „დილა“-„დინამოს“ სახით უკვე დასრულდა. რამდენად დასრულებულია გორში დიდი ფეხბურთი საერთოდ, ძნელი სათქმელია. ისე კი სტადიონზე მოსული ასიოდე მაყურებლისთვის რომ გეკითხათ, უუმაღლესლიგოდ და აბსოლუტურად უფულოდ დარჩენილი „დილა“ ამ ქალაქში ფაქტობრივად, ფეხბურთის გარდაცვალებას ნიშნავს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# არის კაისერი, მაგრამ გერმანია მირჩევნია

**ოთარ ხიზანეიშვილს** „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალ გუნდს ეძებს. 2007-08 სეზონში მან მხოლოდ ორჯერ ითამაშა მეორე ბუნდესლიგაში- „ფრაიბურგის“ მწვრთნელმა რობინ დუტმა მის სამსახურზე უარი თქვა. ალბათ, უთამაშებლობის გამო ხიზანეიშვილი **პეტარ სეგრტმა** ესტონეთ-პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩებისთვის არ გამოიძახა. ოთარს ეროვნულ გუნდში 19 კეპი მოუნაგრია.

- ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში უნდოდა ჩემი აყვანა თურქულ „კაისერისფორს“, მაგრამ მაშინ თავისუფალი აგენტი არ ვიყავი და „ფრაიბურგმაც“ არ გამიშვა. ახლა ისევ დაინტერესდა ჩემით „კაისერი“, მაგრამ თურქეთში წასვლა ჯერ არ გადამიწყვეტია, ოჯახი მყავს და ერთი ქვეყნიდან მეორეში წასვლა ადვილი არ არის. მეორე ბუნდესლიგიდან მაქვს რამდენიმე შეთავაზება, მაგრამ ამ გუნდებს ჯერ ვერ გაგიმხელთ, შესაძლოა, ბუნდესლიგის ერთ-ერთ გუნდშიც გადავიდე. მირჩევნია, ისევ გერმანიაში დავრჩე, ყველაფერი დღე-დღეზე გადაწყდება - გვითხრა გუშინ ხიზანეიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: 0159 თბილისი, **ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუტალიამ გაიტანა და წავიდა

**მგლები-ბორჯომი**

**4:2**

20.05. ზუგდიდი. ცენტრალური მაყურებელი

1:0 კუტალია (5), 2:0 კუტალია (20), 3:0 ჭკადუა (23. ჯანაშიას პასით), 3:1 როხვაძე (38), 4:1 ჯანაშია (53), 4:2 გაჩეჩილაძე (84)

მგლები: ივარდავა, გ, ქირია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია (46. ექონია), ვართაგავა, ჯანაშია, წურწუმია, კუტალია

ბორჯომი: დათუაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნოზაძე, ხაჩიძე, გაჩეჩილაძე, როხვაძე, ბაქრაძე, კენჭიშვილი, ბარამია, (58. უჩა გოგოლაძე), ხუციშვილი

გაფრთხილება: გაჩეჩილაძე (65), ნოზაძე (77)

არბიტრი: ბეუქლიშვილი

**5.** 1:0 - კუტალიამ საჯარიმოში ითამაშა კარგად, ჩამოიცილა მეურვე და შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა დათუაშვილს.

**14.** მეკარესთან პირისპირ გასულ ჭკადუას, გოლკიპერი ულებს დარტყმულს.

**17.** ბაქრაძეს ჰქონდა რეალური მომენტი - ივარდავამ მოიგერია.

**20.** 2:0 - კუტალია მარჯვენიდან შეიჭრა საჯარიმოში გზად მოატყუა მცველი და ანგარიში გაზარდა

**23.** 3:0 - ჭკადუამ საჯარიმოში მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და მესამედ აილო სტუმართა კარი.

**38.** 3:1 - როხვაძემ 25 მეტრიდან ჩინებულად შეასრულა საჯარიმა.

**53.** 4:1 - ჯანაშიამ ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში კარგად დაამუშავა, ერთი მოძრაობით ჩამოიცილა მცველი და დათუაშვილს აულებელი დაურტყა

**84.** 4:2 - გაჩეჩილაძემ 20 მეტრიდან მშვენიერი ჯარიმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა

მასპინძლებისთვის მატჩს მცირე დაინტერესება მაინც ჰქონდა, კერძოდ საქმე ეხებოდა მეშვიდე ადგილს, რომელზეც ორივე გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. ზუგდიდში ფეხბურთი მართლაც ძალიან უყვართ, რაც მატჩზე დასასწრებად მოსული მაყურებლის სიმრავლემაც დაადასტურა. მასპინძლებმა ერთგული ფანები არ დაალალატეს.

პირველ ტაიმში ახალგაზრდა **კუტალია** გაისარჯა ჩინებულად, შემდეგ კი მას **ჭკადუამაც** აუბა მხარი. „ბორჯომმა“ ამის შემდეგ კონტრთამაში წამოიწყო და რამდენიმე შეტევაც განახორციელა, რომელთაგან ერთ-ერთის დროს ჯარიმა დაიმსახურა. **როხვაძემ** იგი საკმაოდ შორიდან მშვენივრად შეასრულა და შეხვედრას პატარა ინტრიგა დაუბრუნა, მეორე ტაიმისთვის. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, რაც მალე შედეგშიც აისახა.

ამ მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი კუტალია გახლდათ, რომელმაც ბოლო მატჩი ჩაატარა „მგლების“ შემადგენლობაში. იგი უახლოეს დღეებში ბოსნიაში გაემგზავრება, სადაც სარაევოს „სლავიას“ ღირსებას დაიცავს. მისი მომავალი გუნდი ჩემპიონატში მეოთხეა და თასის ფინალშიცაა გასული.

**მერაბ გრძელიძე**
**ზუგდიდიდან**

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 9. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 29 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 16 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 13 |
| **გ. მერებაშვილი (დინამო)** | 12 |
| **ვიეირა (ზესტაფონი)** | 12 |
| აკირემი (დინამო) | 10 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 10 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 10 |
| **სპასოევიჩი (დინამო)** | 9 |
| **ვაწაძე (დინამო)** | 9 |
| **იონანიძე (ზესტაფონი)** | 9 |
| **რ. გოცირიძე (ამერი)** | 9 |
| **ალექსიძე (ლოკომოტივი)** | 9 |
| **ინასარიძე (მესხეთი)** | 9 |
| **შ. ჯიქია (ბორჯომი/სიონი)** | 9 |

# სპარტაკმა ბოლნისისთვის დაისვენა

**ოლიმპი-სპარტაკი**

**1:0**

20.05. რუსთავი. ფოლადი
200 მაყურებელი

1:0 იმედაძე (80)

ოლიმპი: ლომაია - ორბელაძე, სილაგაძე, მახვილაძე, რეხვიაშვილი – კახელიშვილი, გაბედავა (56. დევდარიანი), ჯოჯუა, მგელაძე (78. ხუბუა) – გეწაძე, ომელიანოვი.

*სათადარიგოები: შეყრილაძე, სებისკვერაძე.*

ცხინვალი: კოდალაევი – დათუნაშვილი, ქორიძე, ქემოკლიძე, კუპრეიშვილი – ზამთარაძე (57. ლონლაძე), ტყეშელაშვილი, ხიზანიშვილი (46. ქავთარაძე), თექთურმანიძე, ბაგაშვილი – მედოევი (64. კვარაცხელია).

*სათადარიგოები: ქვილითაია, ძარია, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი.*

გაფრთხილება: სილაგაძე (42), გაბედავა (43), ქემოკლიძე (78).

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**37.** გაბედავამ დაარტყა სახიფათოდ.

**55.** გეწაძის შესრულებული საჯარიმო კოდალაევმა მოიგერია.

**64.** გეწაძემ კუთხური ჩამოაწოდა, ბურთს პირველად დევდარიანმა საჯარიმოში მცველებს დაასწრო და კინაღამ ანგარიში გახსნა – ბურთი კარს სანტიმეტრებში ასცდა.

**66.** ისევ დევდარიანი ურტყამს – მცველმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**80.** ხუბუამ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, ბურთი სტუმართა მცველს მოხვდა და მიუვიდა იმედაძეა. უმეთვალყურეოდ, დარჩენილი ფორვარდი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ანგარიში გახსნა.

**88.** ისევ დევდარიანია ბურთით, საჯარიმოში გეწაძე მოძებნა, რომელსაც მცველი გადაეფარა და მეორე გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

**89.** ხუბუას ძლიერ დარტყმას მეკარე კუთხურზე იგერიებს.

„ცხინვალის“ მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი**, ერთი შეხედვით, უცნაურად მოიქცა - ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დაასვენა. ორიც, **თარხნიშვილი** და **ბახტურიძე**, ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო ტოვებდნენ შეხვედრას.

ჟორჟიკაშვილი პრაგმატულად მოიქცა. ცხინვალელებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი კი ჰქონდათ, მაგრამ რეალურად, ცხინვალელთა მწვრთნელმა იცოდა, რომ „ლოკომოტივთან“ „ბათუმი“ ბავშვების ამარა გამოცხადდა და რკინიგზელთა დამარცხება ზღაპარს ჰგავდა. ასე რომ, „სპარტაკი“ გადათამაშებას ვერ ასცდებოდა და ჟორჟიკაშვილმა ძირითადის ის ფეხბურთელები დაასვენა, რომლებსაც ყვითელი ბარათების გამო, მომდევნო მატჩის გამოტოვების საფრთხე ემუქრებოდათ.

ეტყობა, საქართველოს ნაკრებში გამოძახებამ 20 წლის **დევდარიანს** ფრთები შეასხა და გუშინდელი შეხვედრის მოგებაში უდიდესი როლი შეასრულა. რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** ის მხოლოდ შეცვლაზე ათამაშა. 56-ე წუთამდე მასპინძელთა შორის, ყველაზე აქტიური **რეზო გეწაძე** იყო.

თუმცა მატჩის ორი-მესამედი ისე მიიწურა, რომ რუსთაველებმა რეალურად აუტსაიდერ „ცხინვალს“ ვერ აჯობეს. დევდარიანმა კი ახალი ენერგია და შემართება შემატა მასპინძლებს და მისი მოედანზე გამოჩენის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით, შეიქმნა მომენტები.

საქართველოს ჩემპიონატი გასული წლის ოქროსმედალოსანმა „ოლიმპმა“ მეოთხე ადგილით დაასრულა, „ცხინვალი“ კი 24 მაისს გადათამაშებაში „გაგრას“ ბოლნისში დაუპირისპირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ოლიმპი ინტერტოტოზე უარს არ ამბობს

ვინ წარმოადგენს საქართველოს ინტერტოტოს თასის ბოლო გათამაშებაზე? ეს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. წესითა და რიგით, ეს უფლება მეოთხე ადგილზე გასულმა რუსთავის „ოლიმპმა“ მოიპოვა. თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, საქართველოს ექს-ჩემპიონმა მონაწილეობა არ ისურვა. ცნობილი იყო თბილისის „ამერის“ პოზიციაც – გლდანელებმა ინტერტოტოზე უარი თავიდანვე თქვეს.

თუმცა გუშინ, "სპარტაკთან" საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, "ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** უარჰყო გავრცელებული ინფორმაცია.

*„ჩემი დღევანდელი მონაცემებით, კლუბის ხელმძღვანელობას ინტერტოტოზე მონაწილეობა სურს. პირველი მატჩი 16 ივნისს იმართება და თუკი ჩვენი მონაწილეობა საბოლოოდ გადაწყდება, ფეხბურთელებს მხოლოდ მცირე ხნით თუ დავასვენებთ. სიმართლე გითხრათ, დღევანდელი შემადგენლობით, ამ ტურნირში მონაწილეობას აზრი არ აქვს – გუნდს გაძლიერება სჭირდება“*, – განაცხადა ქასრაშვილმა.

ინფორმაცია კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** დაგვიდასტურა: *„ადრე უარის თქმას ნამდვილად ვაპირებდით, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობაში ცვლილება მოხდა, ახალი პარტნიორი შემოგვიერთდა და მისი მოსვლით, ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ უფრო მეტი და სასიკეთო ცვლილებების იმედი გაგვიჩნდა. შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობასთან დაკავშირებითაც. სავსებით რეალურია, რომ ინტერტოტოს გათამაშებაში ჩავერთოთ.“*

**მერაბ მამულაშვილი**

# ოცნებად ქცეული რეალობა

## პეტარ სეგრტს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა სურს

**გუშინ,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც 27 და 31 მაისს გასამართ ამხანაგურ მატჩებს მიეძღვნა და ნაკრების სიაც გამოამზეურა.

- დღეს ვილაპარაკებ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბრთელებსა და ნაკრებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომელმაც ოცნება, გამეწვრთნა საქართველოს ნაკრები, რეალობად მიქცია...

- ნაკრებში 34 ფეხბურთელი ვიხმე. 10 დღეა სია მზად მაქვს, მაგრამ არ ვახმაურებდი, რადგან მოთამაშეთა ტრავმებს შესაძლოა ბევრი ცვლილება მოეხდინა. რამდენიმე ფეხბურთელს ვუხმე ახალგაზრდული ნაკრებიდან, რადგან ვიცი მათი შესაძლებლობები. ასევე ვუხმე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებს. ჩემი აზრით, საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს...

- ნაკრების მოთამაშეებს უკვე ვესაუბრე, ზოგს აქ, ადგილზე, ზოგსაც ტელეფონით და ვუთხარი თუ როგორ ვაპირებ მუშაობას. ბოლო სამი თამაში წავაგეთ და წაგებები ესტონეთთან მატჩში უნდა შევწყვიტოთ. განვლილ ორ წელიწადში ყველა ფეხბურთელი არ იხარჯებოდა ისე, როგორც საჭირო იყო. ამ პერიოდში თვალნათლივ დავინახე რა პრობლემებია საქართველოს ნაკრებში. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ დისციპლინას. ისე არ გამიგოთ, თითქოს ტირანი ვიყო, მოედანზე ვარ მკაცრი, მის მიღმა კი ფეხბურთელის მეგობარი. ეს ყველაფერი ვუთხარი ბიჭებს, ისინიც დადებითად შეხვდნენ ამას და მზადყოფნა გამოთქვეს. **ჯაბა კანკავა** და **დავით სირაძე** ამჯერად არ გამოვიძახე. კანკავა ტრავმირებულია, ხოლო სირაძის ნაცვლად **ალექსიძეს** ვუხმე. სირაძის შესაძლებლობები ვიცი, ახლა მინდა ალექსიძეს მივცე შანსი. ასევე მაინტერესებს **ბარაბაძის** ხილვა ეროვნულ გუნდში. მან ეს ახალგაზრდულში კარგი თამაშით დაიმსახურა.

ასევე ტრავმირებული **კახა კალაძე,** რომელიც მომდევნო მატჩებში ალბათ, ვერ მიიღებს მონაწილეობას, თუმცა თბილისში ჩამოვა და გუნდთან ერთად იქნება. ქართველები პირად ურთიერთობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომაც თუ ნაკრების მწვრთნელად მომავალშიც დავრჩი, ნაკრების თითოეული კანდიდატის თამაშს პირადად ვნახავ და დაველაპარაკები...

- ნაკრები ხვალ იკრიბება. ბიჭები სამედიცინო შემოწმებას და ფიტნეს ტესტს გაივლიან. 22 მაისამდე **კობიაშვილის** გარდა ყველა ჩამოვა, ლევანი პირდაპირ ტალინში შემოგვიერთდება...

- მეტოქეებზე სრული ინფორმაცია მაქვს. ჩემს თანამემამულეს და კოლეგას, **სლავენ ბილიჩს** ვთხოვე ესტონეთზე მოეწოდებინა ინფორმაცია...



პეტარ სეგრტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- ახალზრდულის წევრებთან ტაქტიკური სიახლეების მიტანას დრო სჭირდებოდა. ახლა არ გამიჭირდება ჩემი სურვილები გავაგებინო ბიჭებს, რადგან ბევრი მათგანი დიდ ფეხბურთს თამაშობს. უკვე მქონდა საუბარი ბევრთან თუ რა ტაქტიკით ვაპირებ თამაშს და ვის რა დაევალება. მინდა გითხრათ, რომ მე **კლაუს ტოპმიოლერისგან** განსხვავებული მუშაობის მეთოდი მაქვს. თითოეული ფეხბურთელისგან მაქსიმუმს ვითხოვ. კლუბში ფეხბურთელი ფულისთვის თამაშობს, ნაკრებში - სამშობლოსთვის. თუკი თითოეული მათგანი გულით არ მიუდგა საქმეს და ბოლომდე არ დაიხარჯა, წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება. თბილისში რომ ჩამოვედი აქაურებმა „დარტანიანი“ შემარქვეს მეტსახელად, რუსეთის ნაკრების დამარცხების მერე კი - „ჯიგარო“. მოედანზე თითოეული ფეხბურთელისგან ბოლომდე დახარჯვას ვითხოვ და იქ უკვე აღარ მაქვს „ჯიგაროს“ სახე. ეს ყველამ იცის და მჯერა, ერთად კარგად ვიმუშავებთ...

- ივანკოვიჩმა დამირეკა და ამიხსნა ყველაფერი. მას ისეთი ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, რომ ხორვატიაში უნდა დარჩენილიყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მას ძალიან კარგი პირობები შეთავაზა. იმდენად კარგი, ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ, უყოყმანოდ დავთანხმდებოდი...

- ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ფედერაცია ამ ორი თამაშის შემდეგ, მაგრამ მინდა ჩემი სახელი კარგად მოიხსენიონ. ისე კი მომავალშიც მინდა გავწვრთნა საქართველოს ნაკრები და რომ არ მწამდეს, ამ ორი თამაშის მერე საამისო წინადადებას მივიღებ, მაშინ არც ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს.

**მეკარეები:** გიორგი ლომაია, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე, რევაზ თევდორაძე, როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე.

**მცველები:** კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ნავალოვსკი, ამირან სანაია, ალექსანდრე კვახაძე.

**ნახევარმცველები:** ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, დავით კვირკველია, ლევან კობიაშვილი, გიორგი მერებაშვილი, ლევან ყენია, გიორგი ხიდეშელი, დავით ოდიკაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით დევდარიანი, მირზა ბუალავა.

**თავდამსხმელები:** გიორგი დემეტრაძე, რატი ალექსიძე, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, დიმიტრი ტატანაშვილი, რევაზ ბარაბაძე, ბექა გოცირიძე, მიხეილ ხუციშვილი, ვახტანგ ფანცხავა.

**პაატა თოთაძე**

# გმადლობთ, დუშან უჰრინო

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში არაერთ უცხოელ მწვრთნელს უმოღვაწია: ივო შუშაკს (ხორვატია), იოჰან ბოსკამპს (ჰოლანდია), ჯანი კარნევალეს (იტალია), ლუის ცაკარიასს (პერუ), ჟოაო კამპუშს (ბრაზილია), ალექსანდრ შტელინსა და ანატოლი პისკოვეცს (ორივე - უკრაინა), ანდრეი ჩერნიშოვს (რუსეთი). მათი მუშაობა არაერთგვაროვანი ყოფილა - ზოგმა შედეგსაც მიაღწია და თავი მხოლოდ დადებითი კუთხით დაგვამახსოვრა (უპირველეს ყოვლისა, ივო შუშაკს ვგულისხმობთ), ზოგიერთის საქართველოში ჩამოყვანა კი დღემდე გამოცანად რჩება. ბოლო წელიწადნახევარი ჩვენთან კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი მოღვაწეობდა; თანაც, ზემოთჩამოთვლილ კოლეგებთან შედარებით ბევრად გამოცდილი და, რაც მთავარია, ბევრზე ბევრად ტიტულოვანი მწვრთნელი - დუშან უჰრინი! 65 წლის ჩეხ სპეციალისტს შთამბეჭდავი სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა; სანაკრებო თუ საკლუბო დონეზეც არაერთი ჯილდო მოუპოვებია; და აი, დუშან უჰრინის კოლექციას კიდევ ერთი ტიტული მიემატა - საქართველოს ჩემპიონობა! ისიც სიმბოლურია, რომ ღვაწლმოსილი ჩეხი მწვრთნელი სამწვრთნელო კარიერას ასრულებს და დიდ ფეხბურთში თავისი ბოლო სეზონი გამარჯვებით დაასრულა. სამშობლოში გამგზავრებამდე დუშან უჰრინი „ლელოს“ სიამოვნებით დათანხმდა გულახდილ დიალოგზე; თანაც, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში მისი ბოლო ინტერვიუ იყო...

**- უპირველეს ყოვლისა, გვინდა ჩემპიონობა მოგილოცოთ.**

- დიდი მადლობა მილოცვისათვის და მინდა გითხრათ, რომ ეს არ იყო ადვილად მისაღწევი წარმატება. თანაც, პირადად ჩემთვის საქართველოს ჩემპიონობა არანაკლებ ფასეულია, ვიდრე ძველი ტიტულები.

**- ისე, ალბათ, ვერასდროს იფიქრებდით, რომ სამწვრთნელო კარიერას საქართველოს ჩემპიონის რანგში დაასრულებდით...**

**„არ დავმალავ - ძალიან მინდოდა სამწვრთნელო კარიერაში ჩემი ბოლო სეზონი „დუბლით“ დამესრულებინა...“**

- გეთანხმებით - ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. თუმცა ამ გამარჯვებას, მაინც, სხვა ფასი აქვს: სხვადასხვა ქვეყნებში ხუთჯერ თუ ექვსჯერ თასი მაქვს მოპოვებული, ჩემპიონი კი მესამედ გავხდი - ორჯერ პრაღის „სპარტასთან“ ერთად და აი, ახლა „დინამოსთან“.

**- კარიერის დასრულებაზე გადაწყვეტილების მიღება საბოლოოა?**

- ... ალბათ, კი. ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, ექვსი თვე უნდა დავისვენო. მითუმეტეს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები მაქვს და მინდა ვიმკურნალო. თუმცა, მერე რა იქნება, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ბოლოსდაბოლოს, 35 წელიწადია მწვრთნელობას ვეწევი და, როგორც იტყვიან, ფეხბურთი სისხლში მაქვს გამჯდარი. სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, წელიწადი და ექვსი თვე ვისვენებდი; ფაქტობრივად, კარიერა დასრულებული მქონდა, მაგრამ...

**- სწორედ ეგ გვინდა, გკითხოთ: საქართველოში ჩამოსვლა რამ გადაგაწყვეტინათ?**

- პაუზა ძალიან გამიგრძელდა, ვგრძნობდი, რომ გული ისევ მოედნისკენ მიწევდა... ამასობაში ჩეხეთის ოთხი-ხუთი კლუბი ცდილობდა ჩემს მიწვევას; შემოთავაზებები იყო უცხოეთიდანაც: ბაჰრეინიდან, ზაგრების „დინამოსგან“; დიდი დაინტერესება იყო ბელარუსიიდან და ამ ქვეყნის ნაკრების გაძღოლას მთავაზობდნენ. თუმცა მე თბილისის „დინამო“ ვამჯობინე...



**- ჩვენს სასარგებლოდ არჩევანი რა ფაქტორებმა განაპირობეს?**

- სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, თბილისში ორი-სამი დღით ჩამოვედი და აქაურობას გავეცანი. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი დიღმის საწვრთნელი ბაზის ნახვით, მომეწონა კლუბის მენეჯმენტიც; არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ კლუბის ხელმძღვანელებს ჩემი დახმარებით სურდათ „დინამოსთვის“ დაკარგული პოზიციების აღდგენა.

**- ანუ, გინდათ თქვათ, რომ ახალი გამოწვევის წინაშე იდექით?**

- მოტივაცია მწვრთნელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, ახალ გარემოსა და ახალ კლუბში. ისიც კარგად ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა თბილისის „დინამო“ ქართველებისათვის...

**- „დინამოში“ პირველი ვარჯიშის მერე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- სხვათა შორის, სანამ კონტრაქტს გავაფორმებდი, საქართველოსა და სერბეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს დავესწარი. იმ შეხვედრაში რამდენიმე დინამოელი თამაშობდა და მინდა ვაღიარო, რომ ყველამ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ამ ფაქტმაც ჩემი არჩევანის სისწორე კიდევ ერთხელ დაადასტურა.

**- სამწუხაროდ, თქვენს პირველ სეზონში „დინამო“ კვლავ უტიტულოდ დარჩა: ვერც ჩემპიონობა მოიპოვა და ვერც - თასი...**

- ამას ძალიან ბევრი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. როცა გუნდში მოვედი, თუ არ ვცდები, „დინამო“ მეშვიდე ადგილზე იყო. ლიდერებთან ჩამორჩენის აღმოფხვრა ხელ-ნელა დავიწყეთ, მეორე წრე სულაც წაუგებლად ჩავატარეთ და ყველაზე მეტი ქულაც ავიღეთ, მაგრამ, საბოლოო წარმატებისათვის მაინც არ გვეყო.

**- შარშანდელ სეზონში „დინამომ“ მხოლოდ ორი ფრე ითამაშა და ორივე, ასე ვთქვათ, „საჩემპიონო“ მატჩებში - „ზესტაფონთან“ და „ოლიმპთან“...**

- მართალი ბრძანდებით: „ზესტაფონთან“ 2:1-ს ვიგებდით და „იაშკამ“ პენალტი ვერ გაიტანა, რუსთავში სპასოევიჩმა უალრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ანუ, ცოტა იღბალიც ჩვენს მხარეს არ იყო; თუმცა ჩემი აზრით, უმთავრესი პრობლემა მაინც „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გამოუცდელობა და ფსიქოლოგიურად არასაკმარისი მზადყოფნა გახლდათ.

**- წინა სეზონში „დინამოს“ ტაქტიკა გუნდის მაშინდელ უპირობო ლიდერზე - სანდრო იაშვილზე იყო „აწყობილ-მომართული“....**

**„იაშვილი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ყველა მატჩში ბოლომდე იხარჯებოდა და ლიდერის თვისებებიც გააჩნდა. ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი რომ გახდა. თუმცა ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და, ჩემი აზრით, ალბათ, „თუნში“ საქმეები ამიტომაც ვერ აეწყო კარგად.“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და ნახვამდის

აქამდე არასდროს მითქვამს და ახლა გულახდილად გეტყვით: დობეშის შეძენა არ მსურდა. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩემი თანამემამულეა და არ მინდოდა ამისთვის „სხვანაირი" ინტერპრეტაცია მიეცათ.

- ამაშიც გეთანხმებით - ამ სეზონისგან განსხვავებით, შარშან სხვაგვარად ვთამაშობდით. იაშვილი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ყველა მატჩში ბოლომდე იხარჯებოდა და ლიდერის თვისებებიც გააჩნდა. ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი რომ გახდა. თუმცა ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და, ჩემი აზრით, ალბათ, „თუნში" საქმეები ამიტომაც ვერ აეწყო კარგად.

**- ბევრ მწვრთნელს დაუჩივლია - იაშვილს რთული ხასიათი აქვსო...**

- კი აქვს, თანაც საკმაოდ რთული; მაგრამ, მთავარია, მწვრთნელი როგორ მიუდგება ასეთი ხასიათის მქონე ფეხბურთელს. პირადად მე „იაშკასთან" პრობლემა არ მქონია და მიხარია, რომ შარშანდელ ალიარებაში ჩემი მცირე წვლილიც არის.

**- ამ სეზონზეც ვისაუბროთ, რომელიც „დინამომ" ჩემპიონობით დაასრულა.**

- ახალ სეზონში ჩვენი უმთავრესი კოზირი გუნდური თამაში იყო. თუ წინა ჩემპიონატში ერთი გამოკვეთილი ბომბარდირი გვყავდა, ახლა უკვე მეტოქეებისათვის ერთნაირ საფრთხეს წარმოადგენდნენ ხუციშვილი, აკირემი, ვანაძე, მერებაშვილი, სპასოევიჩი. არ დავმალავ - ძალიან მინდოდა სამწვრთნელო კარიერაში ჩემი ბოლო სეზონი „დუბლით" დამესრულებინა...

**- „დინამომ" პირველი წრე ერთობ დამაჯერებლად ჩაატარა, თუ არ ჩავთვლით „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო მარცხს.**

- „ვიტ ჯორჯიას" მანამდე თასის ჯგუფურ ეტაპზე ორჯერ შევხვდით; თუმცა ჩემპიონატის შეხვედრა, მაინც სხვა არის და იმ მატჩში ჩემს ფეხბურთელებს კონცენტრაცია აკლდათ. ყველაზე საწყენი კი ის იყო, რომ ჩემპიონატში ამ პირველი წაგებით ლიდერობა დავთმეთ.

**- ლიდერობა პირველი წრის ბოლო მატჩის მერე დაიბრუნეთ, როდესაც უშუალო კონკურენტს „ზესტაფონს" პრინციპული მატჩიც მოუგეთ და თამაშის თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეთ.**

- ამ შეხვედრაში ყველა ფეხბურთელმა მაქსიმალური მობილიზებით ითამაშა და მეც ვთვლი, რომ ერთობ ძლიერ და ღირსეულ მეტოქესთან დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საერთოდაც, საქართველოში მოღვაწეობის დროს მეტოქეთაგან სწორედ „ზესტაფონს" გამოვარჩევდი - ნამდვილად ეტყობოდა, რომ ამ გუნდს გამოცდილი და ფეხბურთის მცოდნე მწვრთნელი ჰყავს.

**- ამაში ჩვენც გეთანხმებით და ისევ „დინამოს" დავუბრუნდეთ. მეორე წრე თქვენმა გუნდმა არცთუ სახარბიელოდ დაიწყო - საშინაო მარცხი „ოლიმპთან" პლუს რამდენიმე უფერული მატჩი...**

- „ოლიმპთან" წაგების მერე შეხვედრას შეხვედრაზე ვიგებდით, მაგრამ ჩვენს თამაშს შთამბეჭდავი ნამდვილად არ ეთქმოდა. მაგრამ ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზამთარში მოსამზადებელ ეტაპზე ოპტიმალური შემადგენლობით ვერცერთი საკონტროლო მატჩი ვერ ჩავატარეთ. სხვადასხვა სახის ტრავმები ჰქონდათ აკირემის, ზელიჩს, მერებაშვილს, სპასოევიჩს... ოდიკაძეს სულაც სამი კვირა გაუცდა. მაგრამ, ვიცოდი, რომ ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმას საჭირო მომენტისათვის მიაღწევდნენ და ასეც მოხდა.

**- ამ ჩემპიონატშიც და წინა სეზონშიც შესამჩნევი იყო, რომ ძირითად შემადგენლობაში როტაციას, ფაქტობრივად, არ მიმართავდით.**

- ყოველთვის სტაბილური შემადგენლობის მომხრე ვარ. დავუშვათ, ფეხბურთელმა ერთი მატჩი „ჩააგდო" - შანსს კიდევ მივცემ; ვერც მეორე შეხვედრაში ითამაშა დამაჯერებლად - კიდევ ვაპატიებ; მაგრამ, აი, მესამედაც თუ ვერ გამოიჩინა თავი, მაშინ უკვე...

**- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დობეშს გულისხმობდით.**

- აქამდე არასდროს მითქვამს და ახლა გულახდილად გეტყვით: დობეშის შეძენა არ მსურდა. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩემი თანამემამულეა და არ მინდოდა ამისათვის „სხვანაირი" ინტერპრეტაცია მიეცათ. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით - ფაქტობრივად, მარცხენა მცველი არა გვყავდა. თანაც, დობეშმა „კარლ ცაისთან" საკონტროლო შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა...

**- „დინამოს" სხვა ფეხბურთელებიც ვახსენოთ და უცხოელებით დავიწყოთ.**

- ალბათ, მარტო ჩემი აზრი არ არის თუ ვიტყვი, რომ ზელიჩმა და კრშკომ „დინამოს" უდიდესი სარგებლობა მოუტანეს. იგივე შემიძლია ვთქვა ოვონოსა და აკირემზეც. დარწმუნებული ვარ, რომ ტრავმის მერე კვლავ ჩვეულად ათამაშდება სპასოევიჩიც.

**- სანამ სხვა ფეხბურთელებს დაახასიათებთ, კურიოზულზე მეტი რომ ერქვა, ის სიტუაციებიც ვახსენოთ: „დინამოს" ძირითადში ბიჭები „დაფრინავდნენ" მაგრამ საქართველოს ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები ამას „ვერ" ამჩნევდნენ. სამაგიეროდ, თქვენს მიერ დაწუნებული თუ „დინამოს" ღრმა თადარიგში მყოფი ფეხბურთელებს ნაკრებში წამყვან პოზიციებს ანდობდნენ...**

- არ დაგიმალავთ - ნამდვილად აღარ მსურს ამ თემაზე საკუთარი აზრის დაფიქსირება. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე ჩემი პოზიცია უკვე გამოვხატე და საერთოდაც, კოლეგიალობის პრინციპს დავიცავ. ვიცი, თქვენ კონკრეტული გვარები გაინტერესებთ და მხოლოდ ერთზე შევჩერდები. ანთალიაში, შეკრებაზე რომ ვიყავით, გრიგალაშვილმა მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. მოედნის ცენტრიდან რომ მეტოქეს გოლი გაუტანა - ეს ხომ ფანტასტიკა იყო! მაგრამ ამ ახალგაზრდა ბიჭს სხვა პრობლემები აქვს, ალბათ, უფრო...არასაფეხბურთო.



**- მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას: „დინამოს" ამ შემადგენლობიდან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვის შეუძლია ადგილის დამკვიდრება?**

- ჩემი აზრით, მერებაშვილს ამისთვის ყველა მონაცემები გააჩნია. იგივე შემიძლია ვთქვა ხუციშვილზე, დილმელაშვილსა და ხმალაძეზე. შოთა კაშიასაც ჩინებული მონაცემები აქვს - სწრაფია, ორთაბრძოლებში უშიშრად შედის, „სტანდარტულებს" კარგად ასრულებს. ვთვლი, რომ ნაკრებში თამაშის ღირსია ოდიკაძეც, რომელმაც მეორე წრე დიდებულად ჩაატარა.

**- მეორე წრეში ოდიკაძის ასეთი შთამბეჭდავი თამაში თქვენთვის სიურპრიზი არ იყოს?**

არ დაგიმალავთ - ნამდვილად აღარ მსურს სანაკრებო თემაზე საკუთარი აზრის დაფიქსირება. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე ჩემი პოზიცია უკვე გამოვხატე და საერთოდაც, კოლეგიალობის პრინციპს დავიცავ.

- ყველამ იცის, თუ რა პრობლემები გადახდა ამ ფეხბურთელს. არ არის ადვილი ასე უცბად დაბრუნდე დიდ ფეხბურთში და დაკარგული აინაზღაურო. მაგრამ, ოდიკაძემ აზროვნებაც შეიცვალა, გუნდში არსებული კონკურენციაც დაძლია და „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა.

**- „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებზე არაფერი გითქვამთ.**

- ვანაძე, ლორია, გურამ კაშია, თომაშვილი, ფირცხალავა - ეს „დინამოს" ხვალინდელი დღეა და ვთვლი, რომ ყველა ეს ფეხბურთელი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშს იმსახურებს. ვანაძის პროგრესს, ვფიქრობ, ყველა ამჩნევს; მჯერა, რომ კიდევ უფრო მოუმატებს და ძალიან მალე ეროვნულ ნაკრებში თამაშზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია. იგივეს ვიტყოდი ფ7ირცხალავაზე - ძალიან მალე ეს ბიჭი „დინამოს" შეუცვლელი ფეხბურთელი უნდა გახდეს.

**- საქართველოში გატარებული დროის განმავლობაში ყველაზე უსიამოვნო მოგონებად რა დაგრჩებათ?**

- პირველი, რაც მახსენდება, წინა თვეში „ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრად ჩატარებული მატჩია. წელანაც გითხარით, რომ 35 წელიწადია მწვრთნელი ვარ და ამ ხნის განმავლობაში სად არ მიმუშავია: ჩეხეთში, შვედეთში, ისრაელში, საუდის არაბეთში, ქუვეითში... მაგრამ მცხეთაში რომ არაობიექტური მსაჯობა იყო, მსგავსი არსად მინახავს. ასევე ძალიან მწყდება გული, როცა შარშან ზაფხულში ვენის „რაპიდთან" თბილისში წავაგეთ - ასეთი ანგარიშით დამარცხებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით...

**- უსიამოვნოს თავი დავანებოთ და ტკბილი მოგონებები ვახსენოთ. რა თქმა უნდა, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე თქვენ მიერ გაწვრთნილ ჩეხეთის ნაკრების სენსაციურ ასპარეზობას ვგულისხმობთ.**

- ყველაზე ძლიერ ჯგუფში ჩეხეთის ნაკრები მოხვდა - ჩვენთან ერთად რუსეთი, იტალია და გერმანია იყვნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა თვლიდა, რომ ჩეხეთი ჯგუფის აუტსაიდერი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ფინალში გავედით! ჩემი ფეხბურთელები არნახული მოტივაციით თამაშობდნენ და არაფრით ეპუებოდნენ ავტორიტეტულ მეტოქეებს.

**- კარგად გვახსოვს, ევროპის ჩემპიონატის მერე ჩეხ ფეხბურთელებზე ევროპის წამყვან კლუბებს რა ტაციაობა ჰქონდათ.**

- გუნდში იმ დროისთვის მხოლოდ ოთხი ლეგიონერი (ნემეცი, კუკა, ლატალი, კადლეცი) მყავდა; ჩემპიონატის მერე კი პობორსკი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, ნედვედი - „ლაციოში", შმიცერი - „ლანსში", ბერგერი - „ლივერპულში", სუხოპარეკი - „სტრასბურგში", კოუბა - „დეპორტივოში". მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, თუ როგორ დაგვხვდნენ სამშობლოში - პრაღის ყველაზე ღირსშესანიშნავ ადგილზე 200 000 კაცი გველოდებოდა.

**- ფინალში (მით უმეტეს, ასეთი რანგის) წაგება ყოველთვის მტკივნეულია. მაგრამ ორმაგად მტკივნეული იქნებოდა თქვენთვის - ჩეხეთის ნაკრები ხომ იმ ყბადაღებული „ოქროს გოლით" დამარცხდა.**

- შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ თექვსმეტივე ფინალისტი გუნდის მწვრთნელებიდან მხოლოდ... მე ვიყავი თანახმა „ოქროს გოლის" წესზე! არადა, ამდენი დრო გავიდა და ახლაც ვთვლი, რომ ჩემს გამო წავაგეთ ფინალი...

**- შემადგენლობის შერჩევაში შეცდით?**

- არა, უბრალოდ, ტაქტიკა შევცვალე. ფინალამდე ისე მივედით, მეტოქეებს მწვავე კონტრშეტევებით ვაბნევდით, ანუ დაცვიდან ვთამაშობდით. ფინალში კი შემტევი ტაქტიკა ავირჩიე და ანგარიშში რომ დავწინაურდით, იგივე სტილში გავაგრძელეთ თამაში. არადა, ფინალში სანახაობაზე კი არა, შედეგზე უნდა იფიქრო. ჰოდა, ხალხს ის ახსოვს, 1996 წელს ევროპის ჩემპიონატი გერმანიამ რომ მოიგო; და არა ის, რომ ჩეხეთის ნაკრები ფინალში მეტოქეზე ეფექტურად გამოიყურებოდა...

**- „ოქროს გოლმა" ამის მერე კიდევ ხომ არ გაგამწარათ?**

- ამის გამო სამი ფინალი მაქვს წაგებული: გერმანიასთან უკვე ვთქვი; მერე იყო აზიის თასის ნახევარფინალში კუვეიტისა და საუდის არაბეთის ნაკრებების მატჩში; ბოლოს კი შვედეთის თასის ფინალში...

**- ჩეხეთის ნაკრებიდან თქვენი წასვლა ყველასათვის დიდი მოულოდნელობა იყო.**

- 1996 წელს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს - საპატიო პრიზი უეფას ტექნიკურმა დირექტორმა ენდი როქსბურგმა გადმომცა. 1997 წელს საუდის არაბეთში კონფედერაციის თასზე გავემგზავრეთ და ნახევარფინალში ბრაზილიასთან დავმარცხდით; სანაკრებო დონეზე ბოლო მატჩი კი პარაგვაისთან მქონდა და საბოლოოდ იმ ტურნირზე მესამე ადგილი დავიკავეთ. ეგ კი არა, იმ წლის მიხედვით, ფიფას კლასიფიკაციაში ჩეხეთს მსოფლიოში

იმ წლის მიხედვით, ფიფას კლასიფიკაციაში ჩეხეთს მსოფლიოში მესამე რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვეტილი მქონდა...

მესამე რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვეტილი მქონდა...

**- ახლა როგორ ფიქრობთ, ამ ევროპის ჩემპიონატზე თქვენს მშობლიურ ჩეხეთის ნაკრებს რა შანსი აქვს?**

- სამწუხაროდ, ამჟამად ისეთი რეა-



ლობაა, რომ ჯგუფიდან გასვლა კარგ შედეგად უნდა შევაფასოთ. ნედვედმა ნაკრებში თამაში დაასრულა, კოლერი და ბაროში ფორმაში არ არიან, ტრავმირებულია გუნდის კაპიტანი როსიცკი - ვისზეც მთელი თამაშია „აწყობილი". ამას გარდა, ჩეხეთის ნაკრები, ცოტა არ იყოს, მობერდა კიდეც - ოთხი-ხუთი წელიწადია ერთი და იგივე შემადგენლობით ასპარეზობს.

**- თქვენი ფავორიტი რომელი გუნდია?**

- პორტუგალიის ნაკრები! ძალიან გამოცდილი მწვრთნელიც ჰყავს და ჩინებული შემსრულებლებიც; თანაც ამ გუნდში ხომ კრისტიანო რონალდო თამაშობს - დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. იტალია

# დონადონის ახალი კონტრაქტი და 24 კაცი

## დელ პიეროც და კასანოც



დონადონიმ დელ პიეროსა და კასანოს არ აწყენინა

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** გამოაქვეყნა 24-კაციანი სია იმ ფეხბურთელებისა, რომელთაგან ერთი შინ დარჩება, ხოლო 23 ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება. "დონს" სრული ჩამონათვალი დათქმულ დროს, 28 მაისს, ან ცოტა უფრო ადრეც ექნება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი, რაც ამ სიის გამოქვეყნებამდე მოხდა, მწვრთნელის ახალი კონტრაქტია. ამით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** წერტილი დაუსვა ჭორს იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, "სკუადრა აძურას" ახალი დამრიგებელი ეყოლებოდა, თუმც ახალი კონტრაქტი არც ამ პერსპექტივას გამორიცხავს...

მოკლედ, გუშინ, სამრაუნდიანი მოლაპარაკების შემდეგ, დონადონიმ შეათანხმა ახალი, ორწლიანი კონტრაქტი, რომლის ძალითაც ის ნაკრებს 2010 წლის მუნდიალისთვისაც მოამზადებს. ხელშეკრულების დეტალები რამდენიმე დღეში დაზუსტდება და ხელმოწერის ცერემონიალიც ამის შემდეგ გაიმართება. დონადონიმ პრეზიდენტ აბეტეს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და იქვე დააკონკრეტა, რომ თუ ევრო 2008 იტალიის ნაკრებისთვის წარუმატებელი იქნება, ის თავად დატოვებს თანამდებობას. თუმცა "აძურას" დამრიგებელს არ დაუზუსტებია, რას გულისხმობდა წარუმატებლობაში...

ახლა, რაც შეეხება საევროპო სიას. მოლოდინი გამართლდა და ჩამონათვალში აღმოჩნდა **ალესანდრო დელ პიეროც**, რომელიც, 35 წლის ასაკში, სერია A-ს ბოლო გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი (21 გოლი) გახდა. ალექსმა მეორე წრე ბრწყინვალედ ჩაატარა და ავსტრია/შვეიცარიაში გამგზავრება ალალად დაიმსახურა. აქვე გეტყვით, რომ **ფაბიო კანავაროს** შემდეგ, დონადონის სიაში მყოფთაგან დელ პიეროს ნაკრებში ყველაზე მეტი, 85 მატჩი აქვს ჩატარებული. სიაში მოხვდა **ანტონიო კასანოც**, რომელმაც ჩემპიონატში 10 გოლი გაიტანა და ამდენჯერვე ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. დონადონიმ სპეციალური კომენტარი გააკეთა **ფილიპო ინძაგისა** და **მასიმო ოდოსთან** დაკავშირებით:

*"პიპოსთან მიმართებაში, ასაკზე არანაირი პრობლემა არ არის, აქ ტექნიკური საკითხია. რაც შეეხება ოდოს, ძალიან მწყდება გული, რომ მას ტრავმამ არ მისცა საშუალება, შესაფერის კონდიციებში ყოფილიყო. ადამიანური თვალსაზრისითაც, ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება მეტისმეტად მძიმე იყო".*

ბოლოს კი ის 24-კაციანი სია, რომელიც მზადებას ფლორენციაში შეუდგება:

მეკარეები - **მარკო ამელია** (ლივორნო/6 მატჩი ნაკრებში), **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი/81), **მორგან დე სანქტისი** (სევილია/2);

მცველები - **ფაბიო კანავარო** (რეალი/115), **ანდრეა ბარძალი** (პალერმო/21), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი/9), **ფაბიო გროსო** (ლიონი/30), **მარკო მატერაცი** (ინტერი/40), **კრისტიან პანუჩი** (რომა/52), **ჯანლუკა ძამბროტა** (ბარსელონა/70);

ნახევარმცველები - **მასიმო ამბროზინი** (მილანი/30), **ალბერტო აკვილანი** (რომა/4), **მაურო კამორანეზი** (იუვენტუსი/34), **დანიელე დე როსი** (რომა/33), **ჯენარო გატუზო** (მილანი/57), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა/1), **სიმონე პეროტა** (რომა/40), **ანდრეა პირლო** (მილანი/45);

თავდამსხმელები - **მარკო ბორიელო** (ჯენოა/2), **ანტონიო კასანო** (სამპდორია/10), **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე/17), **ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი/85), **ფაბიო კვალიარელა** (უდინეზე/8), **ლუკა ტონი** (ბაიერნი/33).

ფლორენციაში "სკუადრა აძურა" 30 მაისამდე დარჩება. ამ დღეს, "არტემიო ფრანკიზე", ის ამხანაგურ მატჩს გამართავს ბელგიის ეროვნულ ნაკრებთან. 2 ივნისს, დონადონი და მისი რაზმი ჩავა ავსტრიაში, სადაც ქალაქ ბადენში დაბანაკდება. იტალიის ნაკრები პირველ მატჩს ჰოლანდიასთან, შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში, 9 ივნისს გამართავს. ნიდერლანდების ნაკრების გარდა, C ჯგუფში მისი მეტოქეები საფრანგეთისა და რუმინეთის ეროვნული გუნდებიც იქნებიან.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ლემპარდი ინტერს უახლოვდება?

## აგენტი უარყოფს, მაგრამ არაფერს გამორიცხავს

**ფრენკ ლემპარდის** შესაძლო იტალიური ტრანსფერის თაობაზე სპეკულაციებს ბოლო არ უჩანს. ადრე მას "იუვენტუსში" გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა საუბარია "ინტერზე", თუმცა არც ეს არის ახალი ამბავი. "ნერაძური" შარშანაც აპირებდა "არისტოკრატთა" წამყვანი მოთამაშის გადაბირებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

როგორც იცით, ლემპარდი "ჩელსისთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე თავს იკავებს. მიმდინარე ხელშეკრულება მას 2009 წლის 30 ივნისს ეწურება. თუ ფრენკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ალბიონიდან იტალიაში გადაბარგდეს, მაშინ ლონდონურ გრანდს ურჩევნია, ის ახლავე გაყიდოს, თორემ ერთი წლის მერე ტრანსფერში ცენტსაც ვერ მიიღებს. კლუბსა და ლემპარდს შორის ურთიერთობა **ჟოზე მოურინიოს** წასვლის შემდეგ გაფუჭდა. სავარაუდოდ, ფრენკის გარშემო აგორებული ხმები "ინტერში" მოურინიოს შესაძლო დანიშვნას უნდა უკავშირდებოდეს.

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, გასულ კვირას **მასიმო მორატი რომან აბრამოვიჩს** შეხვდა. ბოსებს ლემპარდის ტრანსფერზე უსაუბრიათ. "ინტერი" ფეხბურთელს წლიურად 5.5 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. "გაძეტას" ინფორმაციას ფრენკის აგენტი **სტივ კეტნერი** ეხმაურება. ის ყველაფერს უარყოფს, თუმც არც იმას გამორიცხავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ რალაც შეიცვალოს.



ფრენკ ლემპარდი

*"მე არ ვიცი, რას ფიქრობს ამაზე "ინტერი". ჩემთან ამ საკითხზე არავის ულაპარაკია, მით უმეტეს, რომ მასიმო მორატისთან ახლო ურთიერთობა მაქვს. "ინტერში" მე მივიყვანე პოლ ინსი და პატრიკ ვიეირა, ამიტომ, თუ ლემპარდზე რაღაც საუბრები მიდის, ეს აუცილებლად მეცოდინებოდა. საქმე ისაა, რომ ფრენკს ოთხშაბათს დიდი მატჩი აქვს, მერე, გარკვეული დრო მან ოჯახთან ერთად უნდა გაატაროს, რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ მას ამის საშუალება არ ჰქონია... მას სჭირდება დრო იმისთვის, რათა საკუთარ მომავალზე დაფიქრდეს. შემდეგ, ჩვენ დაველაპარაკებით "ჩელსის" და იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა".*

მოსალოდნელი ტრანსფერები

# იუვე რომას: გავცვალოთ იაკვინტა და აკვილანი

ახალი სეზონისთვის "იუვენტუსს" კვალიფიციური შუახაზელი დასჭირდება. "ბებერ ქალბატონს" ამბიციური მიზნები აქვს დასახული და კარგი შემსრულებლებიც სჭირდება. აწ უკვე დასრულებულ სეზონში ტურინელთა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი ნახევარდაცვა იყო, სადაც **სერხიო ალმირონმა, ტიაგო მენდეშმა** და **ანტონიო ნოჩერინომ** იმედები ვერ გაამართლეს. პირველი "მონაკოში" გაუშვეს, მეორეს ამ ზაფხულს გაასხვისებენ, მესამე კი დღე-დღეზე "პალერმოში" გადავა.

"იუვენტუსის" მესვეურები ალტერნატივაზე მუშაობას უკვე შეუდგნენ. ერთ-ერთი სამიზნე "რომას" ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანია.** 23 წლის ფეხბურთელთან ბევრ კლუბს აქვს კონტაქტი. მისი აგენტი **ვინჩენცო მორაბიტო** აცხადებს, რომ აკვილანით ყველაზე მეტად "არსენალია" დაინტერესებული. მორაბიტო იმასაც ამხელს, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. *"ვნახოთ, უპასუხებს თუ არა "რომა" მის მოთხოვნებს"* - სვამს კითხვას აგენტი, რომელსაც იმედი აქვს, რომ "ჯალოროსი" კვალიფიციურ ნახევარმცველს ასე იოლად ვერ შეელევა.

ამასობაში, ინფორმაცია ვრცელდება "იუვეს" დაინტერესებაზეც. ტურინელებს "ჯალოროსისთვის" შემხვედრი წინადადება აქვთ მომზადებული. ისინი ვიცე-ჩემპიონებს **ვინჩენცო იაკვინტას** სთავაზობენ. 28 წლის ფორვარდმა, რომელიც ტურინში "უდინეზედან" გადაბარგდა, უსახური სეზონი ჩაატარა, თუმცა ამაში ტრავმებიცაა დამნაშავე. "რომას" მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** იაკვინტას ვარიანტი ძალიანაც მოსწონს, რადგან მასთან ჯერ კიდევ "უდინეზეში" მუშაობისას თანამშრომლობდა.



ალბერტო აკვილანი

გუშინვე, ცნობილი გახდა, რომ "ბებერ ქალბატონს" აღარ უნდა ჰქონდეს ლივერპულელი **ჩაბი ალონსოს** ყიდვის იმედი. **რაფა ბენიტესს** უთქვამს, თანამემამულე ნახევარმცველის გაყიდვას არ ვაპირებო.


კარლოს ტევესი

არგენტინა. ამხანაგური მატჩის წინ

# ტევესი თამაშგარეთ

არგენტინის ნაკრები ივნისში მექსიკას ამხანაგურად გაეჯიბრება. ამ თამაშისთვის, **ალფიო ბასილემ** უკვე დაასახელა შემადგენლობა, რომელშიც ვერ მოხვდა დისკვალიფიცირებული **კარლოს ტევესი.** ის ნოემბერში, კოლუმბიასთან შესარჩევი მატჩის დროს მოედნიდან გააძევეს და, შესაბამისად, ეკვადორთან მომავალ თვეში გასამართ საკვალიფიკაციო მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ბასილეს სიაში საინტერესო სახეებია "პორტუს" ფორვარდ **ლისანდრო ლოპესისა** და "ბორდოს" თავდამსხმელ **ფერნანდო კავენაგის** სახით, მთლიანობაში კი "ალბისელესტეს" შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - **რობერტო აბონდანსიერი** (ხეტაფე), **ოსკარ უსტარი** (ხეტაფე);

მცველები - **გაბრიელ ჰაინცე** (რეალი), **ფაბრიციო კოლოჩინი** (დეპორტივო), **პაბლო საბალეტა** (ესპანიოლი), **ხავიერ ძანეტი** (ინტერი), **ნიკოლას ბურდისო** (ინტერი), **მარტინ დემიკელისი** (ბაიერნი);

ნახევარმცველები - **ფერნანდო გაგო** (რეალი), **მაქსი როდრიგესი** (ატლეტიკო), **გონსალო როდრიგესი** (ვილიარეალი), **ხონას გუტიერესი** (მალიორკა), **ევერ ბანეგა** (სევილია), **ესტებან კამბიასო** (ინტერი), **ხოსე სოსა** (ბაიერნი), **ხავიერ მასკერანო** (ლივერპული);

თავდამსხმელები - **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ხულიო კრუსი** (ინტერი), **ლისანდრო ლოპესი** (პორტუ), **ფერნანდო კავენაგი** (ბორდო).

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოსალოდნელი ტრანსფერები

# ჩელსის რობინიო მოუნდა

## დროგბა, შეიძლება, დარჩეს

მიუხედავად "რეალის" მიერ არა ერთგზის გაცხადებულისა, რომ **რობინიო** არ იყიდება, "ჩელსი" სამეფო კლუბს მოსვენებას არ აძლევს. "არისტოკრატები" მზად არიან, ბრაზილიელ ვარსკვლავში 35 მილიონი ევრო გადაიხადონ. ლონდონელებს იმედი აქვთ, რომ "რეალი" ამ შეთავაზებას უყურადღებოდ არ დატოვებს. ინფორმაციას "ონდა სერო" და "რადიო მარკა" ავრცელებენ. ამავდროულად, მადრიდელთა პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** 24 წლის რობინიოსთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს. ხსენებულ წყაროებთან საუბარში კალდერონი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რობინიოს ტრანსფერზე საუბარი უადგილოა.

მაგრამ, როგორც ესპანური სააგენტოები იტყობინებიან, წასვლა თავად ბრაზილიელ ფორვარდს სურს. მადრიდულმა პუბლიკამ მას რამდენჯერმე უსტვინა. ფეხბურთელს რჩება შთაბეჭდილება, რომ "სანტიაგო ბერნაბეუსთვის" ის მიულებელი პერსონაა. თუ "მარკას" დავუჯერებთ, რობინიოსთვის ბრძოლას, შეიძლება, "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედიც" შეუერთდნენ. მაგრამ **ბერნდ შუსტერს** მისი დაკარგვა არ სურს.

"ჩელსის" კი ის, შეიძლება, **დიდიე დროგბას** შემცვლელად ეგულებოდეს. კოტდივუარელი წასვლას აპირებს, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, დროგბამ დარჩენა გადაწყვიტოს. ამის თაობაზე ის "ფრანს ფუტბოლთან" ინტერვიუში აცხადებს. რატომღაც, დროგბას დღეს გაახსენდა, რომ კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე აქვს. და რატომღაც, აფრიკელი ფორვარდი დღეს აღიარებს, რომ ლონდონში მისი ოჯახი თავს მშვენივრად გრძნობს. მაგრამ "მილანი", "ინტერი" და "რეალი" მაინც რჩებიან იმ გუნდებად, რომელთაც დროგბას სამსახურზე უარი ჯერ არ უთქვამთ.

# რევეიერი ფიორენტინაში

## პრანდელის გამოცდილი მცველი სჭირდება. უიფალუში უკვე წასულია

მომავალ სეზონში "ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. **ჩეზარე პრანდელისთვის** ეს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. მას სჭირდება მოთამაშეები, რომელთაც უპრესტიჟულეს ევროტურნირში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც "ვიოლამ" თვალი დაადგა, "ლიონის" მარჯვენა მცველი **ენტონი რევეიერია**. ესეც არ იყოს, **ტომაშ უიფალუშის** აბარგების გამო, პრანდელის ისედაც მოუწევდა დაცვაში ახალი ფიგურის მოძიება. ფლორენციელთა სკაუტი **ანტონიო დე ვიტისი** "ლიონის" რამდენიმე მატჩს დაესწრო და რევეიერს მაღალი შეფასება მისცა. 28 წლის მცველი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი მოთამაშეა. ადრე მის შეძენას "იუვენტუსი" და "მილანიც" აპირებდნენ. "ლიონში" ის 2003 წელს, "რენიდან" გადავიდა, მერე "ვალენსიაში" იყო განათხოვრებული.

ფეხბურთელი თვლის, რომ დროა, უფრო მაღალი რანგის კლუბში სცადოს ძალები. რამდენად შეეფერება "ფიორენტინა" მის გემოვნებას, ცალკე საკითხია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტოსკანური გრანდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. სწორედ ეს არის რევეიერისთვის მთავარი მოტივაციაა.

ფლორენციელთა ყურადღებას იპყრობს "კატანიის" ნახევარმცველი **ხუან ვარგასიც**. და საერთოდ, იტალიურ წყაროებს თუ ვენდობით, ამ ზაფხულს "ფიორენტინა" ექვსი-შვიდი ახალი მოთამაშით შეივსება.

რაც შეეხება უიფალუშის, კლუბმა უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ ჩეხი ცენტრალური მცველი, რომელმაც "იების" მაისურით 149 მატჩი ჩაატარა, იტალიას ტოვებს და ესპანეთს მიემგზავრება. "ფიორენტინა" მადლობას უხდის მას იმ სამსახურისთვის, რამაც კლუბს, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა. ადრეც ვწერდით, რომ მისი ახალი კლუბი, შეიძლება, "ატლეტიკო" ყოფილიყო, არ არის გამორიცხული "სევილიას" ვარიანტიც. ახლა, საქმე ისაა, რა არჩევანს გააკეთებს თავად ფეხბურთელი: დედაქალაქი თუ ანდალუსია?

### მანჩესტერს ალვეში აინტერესებს

"სევილიის" მცველ **დანი ალვეშს** "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. ბრაზილიელი დიდი ხანია გრანდების ყურადღებას იპყრობს. გასულ ზაფხულს ის ლამის "ჩელსიში" აღმოჩნდა, მაგრამ ანდალუსიურმა კლუბმა, ბოლო მომენტში, 25 მილიონ გირვანქაზე უარი თქვა. სერ **ალექს ფერგიუსონს** კი იმედი აქვს, რომ გარიგებას ერთ კვირაში მოაკვარახჭინებს. რაც მთავარია, ალვეშს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ "სევილია" დატოვოს.

### სიენამ ბერეტა დაითხოვა

მიუხედავად იმისა, რომ "სიენამ" სერია A-ში ადგილი შეინარჩუნა, მთავარი მწვრთნელი **მარიო ბერეტა** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ტოსკანურმა კლუბმა ჩემპიონატში მე-13 ადგილი დაიკავა და საკუთარ მოედანზე "რომას" (3:0), "იუვენტუსისა" (1:0) და "ფიორენტინას" (1:0) დამარცხება შეძლო. არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა ბოლოსწინა ტურში "ინტერთან" მიღწეული ფრეც (2:2), რამაც "ნერაძურის" სკუდეტოს ზეიმი გადაუდო.

ბერეტა კომენტარშიც აღნიშნავს, რომ ეს არ იყო მისი გადაწყვეტილება. მას ჯერ არ მიუღია შეთავაზება, თუმცა იმედი აქვს, რომ ახალ სეზონს სერიოზულ გუნდთან ერთად შეხვდება. ჭორებს თუ დავუჯერებთ, ის შეიძლება "რეჯინას" ჩაუდგეს სათავეში. რაც შეეხება "სიენას", როგორც ამბობენ, ბერეტას მემკვიდრე "კალიარისა" და "ასკოლის" ყოფილი მწვრთნელი **მარკო ჯამპაოლო** იქნება.

### ბარტონი ციხეში

"ნიუკასლის" ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** "ვირის აბანოში" ჩააყუდეს. 25 წლის ფეხბურთელი 2007 წლის 27 დეკემბერს, მშობლიურ ქალაქ ლივერპულში დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა მოქალაქის ფიზიკური შეურაცხყოფა "მაკდონალდსის" ერთ-ერთი რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოგვიანებით, გამოძიების დასრულებამდე, ის თავდებით გაათავისუფლეს, თუმცა ლივერპულის სასამართლომ ბარტონი დამნაშავედ სცნო და ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ჩემპიონთა ლიგა. ფინალის წინ. ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ფავორიტი მანჩესტერია!

## დიდი მაესტრო დღეს თავის მეგობარ სერ ალექს ფერგიუსონს ქომაგობს

**მარჩელო ლიპი** ჯერ კიდევ ისვენებს, მაგრამ რაც დრო გადის, ფეხბურთში დაბრუნებაზე უფრო და უფრო ინტენსიურად ფიქრობს. მართალია, დიდი მაესტრო 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ისვენებს, მაგრამ ფეხბურთის გარეშე, რა თქმა უნდა, ვერ ძლებს. ლიპი ჩემპიონთა ლიგაში მიმდინარე მოვლენებს გულმოდგინედ აკვირდებოდა და არ მალავს, რომ ყველაზე მეტად თავის ძველ მეგობარ სერ ალექს ფერგიუსონს ქომაგობდა და ქომაგობს. მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა კარგად იცის, რასაც ნიშნავს ჩემპიონთა ლიგის ფინალი. მან ტურინის "იუვენტუსი" ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის ფინალში ოთხჯერ გაიყვანა - სამჯერ დამარცხდა, ერთხელ მოიგო. ინტერვიუში, რომელიც მას ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა ჩამოართვეს, ლიპი იმაზე საუბრობს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ფერგიუსონი იმისათვის, რომ ჩემპიონთა თასს მეორედ დაეუფლოს.

**- ლიპი, დაგვიხასიათეთ "მანჩესტერ იუნაიტედი".**

- "მანჩესტერს" არაერთი უდიდესი ფეხბურთელი ჰყავს - კრისტიანო რონალდო, რაიან გიგზი, უეინ რუნი, პოლ სქოულზი და ა.შ. მაგრამ ამ გუნდის სიძლიერის უმთავრესი მიზეზი სერ ალექს ფერგიუსონია! ეს არის მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია, ფეხბურთელისგან მაქსიმუმი გამოწუროს, ნიჭიერი მოთამაშე სწორ გზაზე დააყენოს და მსოფლიო დონის ფეხბურთელად აქციოს. ფერგიუსონი შესანიშნავი მწვრთნელი და იდეალური მმართველია. ყველგან და ყოველთვის წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრი რამ არის საჭირო და ალექსიც დიდი მწვრთნელია, უდიდესი მწვრთნელი. ნახევარფინალის წინ "იუნაიტედი" არც თუ ისე სახარბიელო სიტუაციაში იყო. მანკუნიანელები ვერ იყვნენ საუკეთესო ფორმაში. სწორედ ამ დროს, ფერგიუსონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან მაგარი მწვრთნელია - საჭირო დროს საჭირო როტაციას მიმართა, ძალები გადაანაწილა და მიზანსაც მიაღწია. ის გააკრიტიკეს იმის გამო, რომ "ბარსელონასთან" მატჩის წინ რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და "ჩელსისთან" დამარცხდა, მაგრამ სერ ალექსმა ყველაფერი იდეალურად გათვალა. ასე უნდა მოიქცეს მწვრთნელი, როცა მას ყველა ფრონტზე გამარჯვება სურს.

**- რა განსხვავებაა დღევანდელ "იუნაიტედსა" და იმ "იუნაიტედს" შორის, რომელსაც "იუვენტუსის" თავკაცის რანგში 90-იანი წლების ბოლოს დაუპირისპირდით. დღევანდელი "მანჩესტერი" ჯობია თუ მაშინდელი?**

- ამის თქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. საფეხბურთო გუნდს ყველა პერიოდში აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. "მენიუ" 90-იანი წლების ბოლოს მართლაც გრანდიოზული გუნდი იყო, შესანიშნავი ფეხბურთელებით და ფაქტია, რომ იმ გუნდიდან რამდენიმე მათგანი დღესაც თამაშობს. ვფიქრობ, რომ ფერგის დღეს უკეთესი თავდასხმა ჰყავს, აი, თავდაჯერება, ბრძოლისუნარიანობა და მენტალიტეტი კი არ შეცვლილა.

**- რამდენად დიდი იქნება ფინალში ფერგიუსონის როლი?**

- ბოლო დროს ხშირად მესმის ხოლმე, თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის როლი ძალიან შემცირდა და ჰა, ჰა, 20 პროცენტს თუ უდრისო. მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, მწვრთნელი ზუსტად მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, რადგან ასეთ დროს გაცილებით მეტია იმის ალბათობა, რომ ქაოსი შეიქმნას და გუნდი აირიოს. ამ დროს მწვრთნელის მოხერხებულობაა საჭირო იმისთვის, რომ სხვადასხვა ეროვნებისა და მენტალიტეტის მქონე ფეხბურთელები ერთმანეთთან შეაწყოს და შეაკავშიროს. ფერგიუსონს ეს ძალიან კარგად ეხერხება. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ "მანჩესტერის" თითოეული ფეხბურთელი თავის გუნდს და მწვრთნელს ბოლომდე, თავდაუზოგავად ემსახურება. არცერთი მოთამაშე არ ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე - მათთვის ყველაზე მთავარი გუნდია. თვით კრისტიანო რონალდოც კი, რომელიც ეგოისტობით გამოირჩეოდა, მორჯულებულია. ვის მიერ? რა თქმა უნდა, ფერგიუსონის მიერ! დააკვირდით, როცა საჭიროა, რუნი დაცვას ეხმარება ხოლმე, გიგზი კი თითქმის ფლანგის მცველის პოზიციაზე. ძალიან ბევრი ფეხბურთელი ვიცი, რომელიც ცხვირს იბზუებს, როცა მწვრთნელი იმ პოზიციაზე არ ამწესებს, სადაც თვითონ უნდა. "იუნაიტედში" კი ასე არ არის და ეს ფერგიუსონის დამსახურებაა.

**- კრისტიანო რონალდოზე რას გვეტყვით? როგორ ფიქრობთ, ამ ფეხბურთელს კიდევ აქვს პროგრესის პოტენციალი?**

- როცა რონალდოს თამაშს ვუყურებ, ძალიან მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება, კიდევ უფრო გაძლიერდეს, რადგან პორტუგალიელი იდეალური ფეხბურთელია. ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს: რასაც აკეთებს, ყველაფერს ისეთი სისწრაფით, რომ წარმოუდგენელია, შეცდომა არ დაუშვას. მოდით, ასე ვიტყვი: მას შეუძლია, რომ შეცდომების კვოტა შეამციროს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მშვიდი გახდება. მაგრამ ეს არცაა აუცილებელი, რადგან უსწრაფესი დრიბლინგები კრისტიანოს სავიზიტო ბარათად იქცა.

**- გჯერათ, რომ "იუნაიტედი" "ჩელსის" დაამარცხებს?**

- ყოველ შემთხვევაში, "მანჩესტერს" ძალიან კარგი შანსი აქვს. მართალია, პრემიერლიგურ დაპირისპირებაში ლონდონელებმა მოიგეს, მაგრამ იმ თამაშში მანკუნიანელებს საუკეთესო შემადგენლობით არ უთამაშიათ. "ჩელსი" ძლიერი გუნდია და კარგ ფორმაშია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უპირატესობა "იუნაიტედს" აქვს - ფავორიტი "მანჩესტერია".

**- დაბოლოს, "ჩელსიზეც" ვთქვათ. გაგიკვირდათ ის, რომ ლონდონურ კლუბში ავრამ გრანტმა მიაღწია იმას, რაც ჟოზე მოურინიომ ვერ შეძლო?**

- როდესაც მოურინიო წავიდა, ფეხბურთელები შოკირებულები იყვნენ და ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გრანტი გულზე არცერთ მათგანს არ ეხატებოდა. მაგრამ ამ მწვრთნელმა მოახერხა და ფეხბურთელები თავისკენ მოაქცია. ამას გარდა, გრანტი არ არის ის კაცი, რომელიც გასახდელს გარეთ ბევრს ილაპარაკებს და მე სწორედ ასეთ მწვრთნელებს ვაფასებ. ფეხბურთელებმაც შეხედეს და მიხვდნენ, რომ პირველი შეფასებისას შეცდნენ. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორებია, მაგრამ წარმატებას სწორედ ასეთი ფაქტორები განაპირობებს. მე ნამდვილად არ გამიკვირდა ის, რომ გრანტმა "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა.

**გოტფრიდ ლენცი**





## მანჩესტერ იუნაიტედი

### მეკარეები

1. ედვინ ვან დერ სარი (37). "აიაქსის", "იუვენტუსისა" და "ფულჰემის" ყოფილი მეკარე მანჩესტერში 2005 წლის მაისში, 2 მილიონ გირვანქად გადავიდა. "იუნაიტედის" ფანებმა მას "მისტერ საიმედო" შეარქვეს. ამ სეზონში ფეხბურთელს საზარდულის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი.

29. ტომაშ კუშჩაკი (26). ვან დერ სარის ტრავმების გამო, პოლონელმა გოლკიპერმა საკმაოდ ბევრი ითამაშა. ახალგაზრდა მეკარემ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ის ჰოლანდიელის სრულფასოვან მემკვიდრედ მიიჩნევა.

### მცველები

5. რიო ფერდინანდი (29). რიო "იუნაიტედის" კაპიტანი და დაცვის ბურჯია. მოსკოვში სტუმრობამდე ცოტა ხნით ადრე, ფერდინანდმა "ეშმაკებთან" ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

15. ნემანია ვიდიჩი (26). სალი კლდე "იუნაიტედის" დაცვის ცენტრში და რიო ფერდინანდის იდეალური პარტნიორი. "ეშმაკებმა" პრემიერლიგის ანწდასრულებულ სეზონში მხოლოდ 22 გოლი გაუშვეს.

2. გარი ნევილი (33). 1999 წლის ტრიუმფის კიდევ ერთი მონაწილე. გარი ნევილს ტრავმების გამო 14 თვე გაუცდა. მან წლევანდელ სეზონში მხოლოდ 10 წუთი ითამაშა ("რომასთან" ლიგის განმეორებით მეოთხედფინალში). გარიმ ჩემპიონთა ლიგაში 99 მატჩი ჩატარა.

3. პატრის ევრა (26). ევრა შემტევი მარცხენა მცველია. პოზიციურ შეცდომებს იშვიათად უშვებს. ის 2004 წლის ლიგის ფინალის მონაწილეა. ოთხი წლის წინ მისი "მონაკო" "პორტუსთან" 0:3 დამარცხდა.

6. ვესლი ბრაუნი (30). ამ ფეხბურთელმა "იუნაიტედში" მეათე სეზონი ჩაამთავრა და ერთი კვირის წინ ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ბრაუნის ანგარიშზეა 300-ზე მეტი მატჩი. გარი ნევილის არყოფნაში, სტაბილურად ათამაშდა მარჯვენა ფლანგზე. 1999 წლის ფინალში ის "იუნაიტედის" თადარიგში იმყოფებოდა, თუმცა არ უთამაშია.

27. მიკაელ სილვესტრი (30). ფრანგმა მცველმა "იუნაიტედში" მეცხრე სეზონი ჩაამთავრა. ტრავმების გამო მას წლევანდელი სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა.

### ნახევარმცველები

22. ჯონ ოში (27). ირლანდიელს დაცვასა და ნახევარდაცვაში არა ერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ასე განსაჯეთ, "იუნაიტედში" მას მეორე თავდამსხმელად და მეკარედაც კი უთამაშია.

16. მაიკლ ქერიკი (26). ერთი კვირის წინ ქერიკმაც ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდს იდეალურად შეეწყო.

18. პოლ სქოულზი (33). პოლმა მთელი კარიერა "იუნაიტედში" გაატარა. სქოულზის ღირსებებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. მან "ბარსელონასთან" ნახევარფინალში გამარჯვების გოლი შეაგდო.

11. რაიან გიგზი (34). უესლელი ვეტერანის "მანჩესტერ იუნაიტედის" რეკორდსმენი ხდება. დღეს ის "ეშმაკების" მაისურით 759-ე მატჩს ჩაატარებს და ერთი თამაშით გადაუსწრებს ლეგენდარულ ბობი ჩარლტონს.

4. ოუენ ჰარგრივსი (27). მას ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, მაგრამ მაინც დიდი ავტორიტეტის მოხვეჭა მოასწრო.

13. ჟი სუნ პარკი (27). ამ ფეხბურთელმაც ბევრი მატჩი გამოტოვა. პარკის უმთავრესი ღირსება სისწრაფეა. დღეს ის შეიძლება ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ.

### თავდამსხმელები

8. უეინ რუნი (22). რუნი სწრაფია, ფიზიკურად ძლიერი და შეუძლია არაფრიდან გოლების გამოცხობა. დიდ მატჩებში, როგორც წესი, შთამბეჭდავად თამაშობს.

17. ნანი (21). პორტუგალიელმა სადებიუტო სეზონში 40 მატჩი ჩაატარა. ის მარცხენა ნახევარმცველია. გამოირჩევა სისწრაფით, დრიბლინგითა და აკრობატის ნიჭით, რომელსაც გოლების აღნიშვნისას იყენებს.

7. კრისტიანო რონალდო (23). მან წელს ყველა ტურნირზე 41 გოლი შეაგდო. პრემიერლიგამ ის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. რონალდო ფეხბურთელთა ვერსიითაც ინგლისის წლის მოთამაშე გახდა. თუ ის ჩემპიონთა თასს დაეუფლება და ევროსაც არ ჩააფლავებს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს გამოკრავს ხელს.

32. კარლოს ტევესი (24). "მანჩესტერის" კიდევ ერთი დებიუტანტი, რომელმაც სეზონი 14 გოლით (მათ შორის, 4 გოლი ჩემპიონთა ლიგაში) დაასრულა. არგენტინელმა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გოლი შეაგდო. მან, შესაძლოა, ფინალშიც გადამწყვეტი სიტყვა თქვას.

# MOSCOW FINAL 2008

# მანჩესტერი–ჩელსი



# პირველი, სრულიად ინგლისური




"ლუჟნიკიზე" გუშინდელი ვარჯიშისას ეშლი კოული კლოდ მაკელელეს შეასკდა და დაშავდა. მას ექიმების დახმარება დასჭირდა. შემდეგ კი ვარჯიში კოჭლობით გააგრძელა. ავრამ გრანტი დაცვის მარჯვენა ფლანგზე მიკაელ ესიენს დააყენებს. საყრდენად მაკელელეს ვიხილავთ, ხოლო ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე - ჯო კოულს. საკითხავია, ვინ ითამაშებს მარცხნივ. გრანტი არჩევანს ფლორან მალუდასა და სალომონ კალუს შორის გააკეთებს.

"იუნაიტედს" ცენტრალური მცველი ნემანია ვიდიჩი გამოუჯანმრთელდა. ძირითადში უნდა ვიხილოთ პოლ სქოულზი, რომელმაც 1999 წლის ლიგის ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. სერ ალექს ფერგიუსონის განცხადებით, რომ ჟი სუნ პარკს ძირითადში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

ფსიქოლოგიური უპირატესობა "მანჩესტერის" მხარეზეა. მან "ჩელსის" პრემიერლიგის საჩემპიონო მარათონი მოუგო. ზუსტად ერთი წლის წინ "ეშმაკები" "არისტოკრატებს" ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში შეხვდნენ. "ჩელსიმ" 1:0 მოიგო. დიდიე დროგბამ ერთადერთი გოლი დამატებითი დროის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე შეაგდო.

მიმომხილველთა აზრით, დიდ სანახაობას ვერც ამჯერად ვიხილავთ. მეტოქეებს საიმედო დაცვის ხაზები აქვთ. "იუნაიტედს" მრისხანე თავდასხმითაც შეუძლია, იტრაბახოს. მან ამ სეზონში ყველა ტურნირზე 109 გოლი მიითვალა. "ჩელსი" ასე შედეგიანად არ თამაშობს. ის უმეტესად ერთი გოლით იმარჯვებს.

მარტო პრემიერლიგაში, "ეშმაკებმა" 80-ჯერ გამოიჩინეს თავი. აქედან 57 გოლი რონალდომ, უეინ რუნიმ და კარლოს ტევესმა გაიტანეს. პირადად რონალდომ 31 გოლი მიითვალა (სათასო ტურნირების ჩათვლით 41 გოლი). "ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირია ფრენკ ლემპარდი. მისი ანგარიში შედარებით მოკრძალებულია - 19 გოლი ყველა ტურნირში. დიდიე დროგბამ 15-ჯერ გამოიჩინა თავი.

ლონდონელთა შემადგენლობაში სტაბილურად იტანენ სხვა ნახევარმცველები - ჯო კოული და მიხაელ ბალაკი. სამი კვირის წინ, როდესაც "იუნაიტედმა" "სტემფორდ ბრიჯზე" 1:2 წააგო, სტუმრები ორივე გოლი გერმანელმა ნახევარმცველმა გაუტანა.

სერ ალექს ფერგიუსონი "იუნაიტედში" 22 წელია, მოღვაწეობს. მან გუნდი ჩემპიონთა ლიგის 151 მატჩში გაიყვანა (ამას დავუმატოთ კიდევ 12 მატჩი, რომელიც ფერგიმ შოტლანდიური "აბერდინის" მთავარი მწვრთნელის რანგში ჩემპიონთა თასზე ჩაატარა). ფერგიმ 28 ტიტული მოიპოვა, მათ შორის, 1999 წლის ჩემპიონთა თასიც.

"ჩელსის" დამრიგებელის, ავრამ გრანტის აქტივში ლიგის 15 მატჩია - 11 "ჩელსის" და ოთხიც თელ-ავივისა და ჰაიფის "მაკაბის" მთავარი მწვრთნელის რანგში. ის ლონდონში პირველ სეზონს ატარებს (სექტემბერში დაინიშნა) და ჯერ ერთი ტიტულიც არ მოუგია.

"მენიუმ" ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიპოვა - 1968 და 1999 წლებში. "ჩელსის" ჩემპიონთა თასი არასოდეს მოუგია. ის ფინალშიც პირველად ითამაშებს. "არისტოკრატებს" შეუძლიათ, ისტორიული გამარჯვება რომან აბრამოვიჩის სამშობლოში იზეიმონ.

### საინტერესო სტატისტიკა

"მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" 151-ედ შეხვდებიან ერთმანეთს. აქამდე გამართული 150 შეხვედრიდან "მანჩესტერმა" 65 მოიგო, "ჩელსიმ" - 41. 44 მატჩი ფრედ დასრულდა.

დღევანდელი ფინალი მესამეა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელშიც ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ითამაშებენ. პირველად იყო "რეალი"-"ვალენსია" 2000 წელს (3:0), მეორედ "მილანი"-"იუვენტუსი" 2003 წელს (0:0, პენ 3:2).

დღეს ჩემპიონთა თასის 53-ე ფინალია. ტურნირს 1955-56 წლების სეზონში ჩაეყარა საფუძველი. ფინალში ორი ინგლისური კლუბის მონაწილეობა იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა თასი ინგლისში მეთერთმეტედ გაემგზავრება. 11 ჩემპიონთა თასი აქვს ესპანეთსა და იტალიას. ევროპულ ტურნირებში ინგლისი 29-ე ტიტულს მოიპოვებს, რითაც ესპანეთის რეკორდს გაიმეორებს.

ზედიზედ მეოთხე წელია, ინგლისური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადის. 2005 წელს "ლივერპულმა" "მილანი" დაამარცხა (3:3, პენ. 3:2), 2006 წელს "არსენალმა" "ბარსელონასთან" წააგო (1:2), ხოლო 2007 წელს იმავე "ლივერპულმა" იმავე "მილანთან" წააგო (0:2).

მოსკოვი ჩემპიონთა ლიგის ფინალს პირველად მასპინძლობს. ცხრა წლის წინ რუსეთის დედაქალაქში უეფას თასის ფინალი გაიმართა - "პარმამ" "მარსელს" 3:0 მოუგო. "ლუჟნიკიზე" საგანგებოდ ამ მატჩისათვის ბუნებრივი ბალახი დააგეს. გასული წლის ოქტომბერში, რუსეთისა და ინგლისის ნაკრებების შესარჩევი მატჩი ხელოვნურ საფარზე გაიმართა. ბალახი 15 დღის წინ დააფინეს. მიმომხილველები შიშობენ, რომ ახალი მოედანი იდეალური არ იქნება.

ჩემპიონთა თასის ყველაზე მეტი ფინალი ლონდონში, ძველ "უემბლიზე" გამართულა - 1963, 1968, 1971, 1978 და 1992 წლებში. ხუთ ფინალს უმასპინძლა პარიზმაც - 1956, 1975, 1981, 2000, 2005, მაგრამ სხვა და სხვა სტადიონებზე (პირველი სამი ფინალი "პარკ დე პრენსზე" შედგა, ბოლო ორი - "სტად დე ფრანსზე").

"იუნაიტედის" გამარჯვების შემთხვევაში, სერ ალექს ფერგიუსონი მე-16 მწვრთნელი გახდება, რომელსაც ჩემპიონთა თასი ორჯერ და მეტად მოუგია. 66 წლის ფერგიუსონი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული მეორე უხუცესი მწვრთნელი იქნება. ყველაზე მხცოვანი ბელგიელი რაიმონ გუტალსია იყო, რომელმაც 1993 წელს, "მარსელს" 71 წლისამ გაამარჯვებინა.

ედვინ ვან დერ სარმა ჩემპიონთა თასი 1995 წელს, "აიაქსში" მოიპოვა. ოუენ ჰარგრივსმა - 2001 წელს "ბაიერნში". რიკარდო კარვალიომ და პაულუ ფერეირამ 2003 წელს "პორტუში". ანდრეი შევჩენკომ თასი 2003 წელს, "მილანში" მოიგო, ხოლოდ კლოდ მაკელელემ - 2002 წელს, "რეალში".

თუ რაიან გიგზი ითამაშებს, ბობი ჩარლტონის რეკორდს დაამხობს. ჩარლტონმა "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ყველა ტურნირში 758 მატჩი ჩაატარა. ზუსტად ამდენი შეხვედრა დაუგროვდა უელსელ ვეტერანსაც. გიგზი 1999 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელია. ცხრა წლის წინანდელ ფინალში ითამაშა გარი ნევილმაც. ვესლი ბრაუნი თადარიგში იჯდა და მინდორზე არ შესულა. ხოლო პოლ სქოულზი დისკვალიფიცირებული იყო.

დღევანდელი ფინალი მესამეა "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირებათა ისტორიაში. 1994 წელს ისინი ასოციაციის თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. "იუნაიტედმა" 4:0 გაიმარჯვა. შარშანდელი ასოციაციის თასის ფინალში "არისტოკრატებმა" რევანში აიღეს, 1:0.

უეინ რუნიმ და რიო ფერდინანდმა "მანჩესტერ იუნაიტედიდან" და ჯო კოულმა, ფრენკ ლემპარდმა და შონ რაიტ-ფილიპსმა ამ სეზონში "ლუჟნიკიზე" უკვე ითამაშეს. 17 ოქტომბერს ინგლისმა რუსეთთან 1:2 წააგო.

"ჩელსის" გამარჯვების შემთხვევაში, ის პირველი ლონდონური კლუბი გახდება, რომელსაც ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა.

■ ■ ■

„ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" მოსკოვში ორშაბათს, ერთსაათიანი შუალედით ჩაფრინდნენ. რუსეთის დედაქალაქში ჯერ "მანჩესტერ იუნაიტედის" თვითმფრინავი დაეშვა. "ეშმაკები" "დომოდედოვოს" აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმროსაკენ გაემართნენ. "ჩელსი" "ვნუკოვოში" დაეშვა. გუნდმა უკომენტაროდ გაიარა საბაჟო კონტროლი და მანაც სასტუმროს მიაშურა. მატჩის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, უსაფრთხოების მოტივით, მეტოქე გუნდების გულშემატკივრებიც სხვადასხვა აეროპორტებში მიეღოთ. მანჩესტერელი ფანები, კლუბის მსგავსად, დომოდედოვოში ჩაფრინდნენ. "ჩელსის" ქომაგებს კი "შერემეტიევო" დაუთმეს. რუსეთის საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, მოსკოვს 40 ათასი ინგლისელი ფანი ეწვია. რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით, საგანგებოდ მოსკოვური ფინალისათვის, ბილეთიან გულშემატკივრებს რუსეთში უვიზოდ შესვლის უფლება მიეცათ. მათი ვიზა მათივე ბილეთია. საკმარისია საბაჟო კონტროლზე პასპორტი და ბილეთი წარადგინო, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შეგიშვებენ.

მოსკოვის მილიცია გაძლიერებულ მორიგეობაზეა გადასული. ქალაქის ქუჩებს 7 ათასი სამართალდამცველი აკონტროლებს. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან გულშემატკივართა შესაძლო თავშეყრის ადგილებს. რუსი კოლეგების დასახმარებლად, მოსკოვს ეწვია მანჩესტერის პოლიციის გაძლიერებული რაზმიც. ისინი ქომაგებს შორის არიან გადანაწილებულები. მათი ამოცნობა შეუძლებელია, რადგან სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ. გულშემატკივართა გამოფრენისას გაძლიერებული იყო კონტროლი მანჩესტერისა და ლონდონის აეროპორტებშიც, რათა შემთხვევით, თვითმფრინავში არ მოხვედრილიყო ფანი, რომელსაც წარსულში ჩადენილი ხულიგნობების გამო, ბრიტანეთის ტერიტორიის დატოვება აკრძალული აქვს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვესლი ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კრისტიანო რონალდო, სქოულზი, ქერიკი, პარკი, რუნი, ტევესი.

**ჩელსი:** ჩეხი, ესიენი, ტერი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, ჯო კოული, ბალაკი, მაკელელე, ლემპარდი, დროგბა, კალუ.

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)





## ჩელსი

### მეკარეები

1. პეტრ ჩეხი (25). ჩეხეთის ნაკრების მეკარეს თავსატეხი არ ელევა. ამ სეზონში მან კიდევ ერთი უმძიმესი ტრავმა მიიღო და ნიკაპსა და ქვედა ტუჩზე პლასტიკური ოპერაციის გაკეთება მოუხდა. ამის მიუხედავად, პეტრი ისევ საიმედო და შთამბეჭდავია.

23. კარლო კუდიჩინი (34). იტალიელი გოლკიპერი ლონდონში მეცხრე სეზონს ატარებს. ჩეხის ტრავმების გამო მან საკმაოდ ბევრი ითამაშა. კუდიჩინიმ მარტო ჩემპიონთა ლიგაში ხუთჯერ ისპარეზა, მათ შორის, მერვედფინალის ორივე მატჩში "ფენერბაჩესთან".

### მცველები

20. პაულუ ფერეირა (29). საიმედო მარჯვენა მცველი, რომელიც "ჩელსიში" ჟოზე მოურინიომ 2004 წლის ზაფხულში მიიყვანა. შეტევებში ერთვება ხოლმე, მაგრამ უფრო ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე მარცხენა მცველი ეშლი კოული.

26. ჯონ ტერი (27). სისწრაფე მისი კოზირი არ არის. სამაგიეროდ, ინსტინქტურად კითხულობს თამაშს. ჯარიმებისა და კუთხურებისას, ყოველთვის სახიფათოა. ამ სეზონში რამდენიმე ტრავმა მიიღო. პრემიერლიგის ბოლო ტურში მხარიც იღრძო, მაგრამ დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

3. ეშლი კოული (27). ის "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრებისათვის შეუცვლელი მარცხენა მცველია. სწრაფია და საუცხოო აკონტროლებს ბურთს.

35. ჟულიანო ბელეტი (27). ბრაზილიელს ლონდონში განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. 2006 წლის ლიგის ფინალში, "ბარსელონის" შემადგენლობაში, ეშლი კოულის "არსენალს" გამარჯვების გოლი გაუტანა.

6. რიკარდო კარვალიო (30). ის და ტერი დაცვის ცენტრში საიმედო დუეტს ქმნიან. კარვალიო შეუდარებელია პერსონალური მეურვეობისას. 2003 წელს ჩემპიონთა თასს "პორტუსთან" ერთად დაეუფლა.

18. უეინ ბრიჯი (27). ინგლისის ნაკრების მცველი ნებისმიერ სხვა კლუბში ძირითადის შეუცვლელი წევრი იქნებოდა, მაგრამ "ჩელსიში" უმეტეს დროს თადარიგში ატარებს.

33. ალექსი (25). ტერის ტრავმის პერიოდში, "ჩელსის" დაცვის ცენტრში სტაბილურად ასპარეზობდა. თამაშობს უხეშობის ზღვარზე, საიმედოა და არცთუ იშვიათად იტანს გოლებს.

### ნახევარმცველები

5. მიკაელ ესიენი (25). განელმა უნივერსალმა ამ სეზონში არა ერთხელ ითამაშა დაცვის მარჯვენა ფლანგზე. ესიენის დეტალური დახასიათებაც ზემეტად მიგვაჩნია. მოსკოვურ ფინალში ის შეიძლება ისევ დაცვაში გამწესონ.

12. ჯონ ობი მიკელი (21). როდესაც კლოდ მაკელელე ლონდონიდან აბარგებას გადაწყვეტს; ობი მიკელი მისი სრულფასოვანი მემკვიდრე გახდება. ნიგერიელმა თავდაპირველად "მანჩესტერ იუნაიტედთან" გააფორმა კონტრაქტი. შემდეგ "ჩელსის" მიაშურა. ლონდონელებმა "ეშმაკებს" სოლიდური კომპენსაცია მიუთვალეს.

4. კლოდ მაკელელე (35). მან ჩემპიონთა ლიგა მადრიდის "რეალში" მოიგო. წელს ჩემპიონთა ლიგაში თითქმის შეუცვლელად ითამაშა. შეტევებში იშვიათად ერთვება, სამაგიეროდ, ძველებური საიმედოობით გამოირჩევა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე.

8. ფრენკ ლემპარდი (29). დედის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, "ლივერპულთან" ნახევარფინალში უმნიშვნელოვანესი 11-მეტრიანი შეაგდო. ფრენკი "ჩელსის" ერთ-ერთი სიმბოლოა. ამ სეზონში საუკეთესო ბომბარდირობაც იკისრა და ყველა ტურნირში 19 გოლი შეაგდო.

10. ჯო კოული (26). ჯოს ძლიერი მხარეა დრიბლინგი. ავრამ გრანტი მას ჟოზე მოურინიოზე მეტად ენდობა და მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. კოულის სისუსტედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბევრი გოლი არ გააქვს.

13. მიხაელ ბალაკი (31). სეზონის მიწურულს, ბალა საუცხოოდ ათამაშა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერად იქცა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთი თვის წინანდელ შეხვედრაში (2:1) გერმანელმა დუბლი შეასრულა.

15. ფლორან მალუდა (27). მალუდამ ვერაფრით გამოიჩინა თავი. დღეს ის თადარიგში იქნება.

24. შონ რაიტ-ფილიპსი (26). გრანტი რაიტ-ფილიპსს იშვიათად ათამაშებს. ის "ჩელსიში" სამი წლის წინ ჩაირიცხა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ მოახერხა გუნდის ძირითა შემადგენლობაში დამკვიდრება.

### თავდამსხმელები

21. სალომონ კალუ (22). კოტდივუარელ ფორვარდს 4-3-3 სქემაში თავდასხმის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაშობს. მან "ჩელსის" შემადგენლობაში ჩატარებულ ბოლო 11 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა.

11. დიდიე დროგბა (30). მიმომხილველთა ვარაუდით, დღევანდელი მატჩის ბედს მისი და რიო ფერდინანდის დუელი გადაწყვეტს. ის ჩემპიონთა ლიგაში "ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირია. 2004 წელს, "მარსელიდან ტრანსფერის შემდეგ, ევროპულ სარბიელზე 18 გოლი გაიტანა.

39. ნიკოლა ანელკა (31). ფრანგი თავდამსხმელი ავრამ გრანტის პირველი შენაძენია. ის იანვარში "ბოლტონიდან" გადაიყვანეს. ანელკამ ჩემპიონთა თასი 2002 წელს, "რეალთან" ერთად მოიგო. თებერვლის შემდეგ მას გოლი არ გაუტანია.

7. ანდრეი შევჩენკო (31). თუ სპეკულაციებს დავუჯერებთ, ისიც აბარგებას აპირებს. შევა "არისტოკრატების" ყველაზე წარუმატებელი შენაძენია. ანდრეი ჩემპიონთა თასს "მილანში" ყოფნისას, 2003 წელს დაეუფლა, 2005 წლის ფინალში კი გადამწყვეტი 11-მეტრიანი ვერ გაიტანა.

გაგრძელება. დასაწყისი №41

# ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები



## ნი მენოტისტა, ნი ბილარდისტა... ბასილისტა

60-იანი წლების დასაწყისში, არგენტინული ფეხბურთი ტექნიკითა და რაფინირებულობით ინონებდა თავს, მაგრამ მას ერთი ნაკლი ჰქონდა - ვერავის უგებდა. ფრანგული გაზეთის, "ეკიპის" ჟურნალისტმა **ჟაკ ფერანმა** მაშინდელი არგენტინული ფეხბურთი ასე დაახასიათა: *"ნელ-ნელა"*. მართალიც იყო, არგენტინელების თამაში ჰიპნოზის გრძელ სეანსს წარმოადგენდა. ფეხბურთი-ანესთეზია. ბურთთან შეხება, პაუზა, ისევ შეხება, ისევ პაუზა... სურათი ყოველთვის ერთნაირად სრულდებოდა: წაგება ნებისმიერი მეტოქესთან.

წარუმატებელი სერია 60-იანი წლების შუაში დასრულდა, როცა "რასინგმა" **ხუან ხოსე პისუტის** ხელმძღვანელობით, 39 მატჩი წაუგებლად ჩაატარა, 1966 წელს არგენტინის ჩემპიონი გახდა, ლიბერტადორესის თასი და 1967 წლის საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. პისუტი ალქიმიკოსი იყო, რომელიც ერთმანეთში ურევდა "სუფთა" და უხეშ ფეხბურთელებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდებს, ფრთხილებსა და რისკიანებს.

პისუტის ბრწყინვალე გუნდს გამარჯვებულის ჰორმონებით ერთი ახალგაზრდა კაცი ამარაგებდა, რომელიც 1943 წლის 1 ნოემბერს, ქალაქ ბაია ბლანკაში დაიბადა. ეს ისეთი ფეხბურთელი იყო, რომელიც თავისი გაბარიტებით მაშინვე გეცემა თვალში, გნუსხავს ბოხი ხმით და "ინჩასების" გონებაში თავისი თავდადებით იკავებს ადგილს. მას **ალფიო ბასილე** ერქვა. "მეორე სართულის" ექსტრაორდინალური მოთამაშე. მსხვილი სხეული მოედნის შუაში თამაშში ხელს უშლიდა, რის გამოც დაცვაში იპოვნა თავისი ადგილი. თამაშის არც ისე მაღალ ხარისხს სულიერი თავდადებით უკეთებდა კომპენსირებას, და მალე მეთაურად გადაიქცა - el Caudillo. ერთხელ, როცა მეტოქემ დაიწუწუნა - "კაუდილიო" სტუმრების დაუცველობით სარგებლობს და ძალიან უხეშად თამაშობსო, მან უპასუხა, რომ *"ურტყამს განურჩევლად ყველას, საკუთარ და სხვის მოედანზე"*. სინამდვილეში, ზედმეტად აგრესიულ თამაშს, ლიბერტადორესის თასის უკომპრომისო ბრძოლებისას შეეჩვია.

"რასინგის" შემდეგ, ბასილე კიდევ ერთხელ გახდა ჩემპიონი - 1973 წელს "ურაკანის" შემადგენლობაში. 1975 წლიდან მოყოლებული, მან გააერთიანა სამართლის ფაკულტეტზე (რომელიც არ დაუმთავრებია), ქუჩურ ცხოვრებაში და საფეხბურთო მინდვრებზე მიღებული ცოდნა. ამას დაემატა მისი პერსონალური თვისებები, კერძოდ, ომახიანი ხმა და საკუთარი თავისადმი რწმენა... და კარგი მწვრთნელი გამოვიდა.

ის ფეხბურთის შიგნით იზრდებოდა, სადაც ორ მოდელს შორის დებატები იყო გამართული: "მენოტისტა" - ტრადიციული, ღია, რომანტიული და "ბილარდისტა" - ევროპიზირებული, ორგანიზებული, ჩახშობისკენ მიმართული. **მენოტის** მოდელი და **ბილარდოს** მოდელი - ეს ორი შეუთავსებელი სკოლაა, რომელთა შორის იდეისთვის ბრძოლა დაიწყო და ჯარების შექმნით დასრულდა. მაგრამ ალფიო ბასილემ კონფლიქტი ერთი ფრაზით აიცილა თავიდან: *"მე არც მენოტისტა ვარ და არც ბილარდისტა, მე ბასილისტა ვარ"*. მას უფრო ზუსტი განსაზღვრება უნდა მიეცა, დაახლოებით ასეთი: სადმე შუაში კი არ უნდა გაჩერებულიყო, არამედ არცერთს არ უნდა მიმხრობოდა.

ნაკრების მწვრთნელის პოსტზე კარლოს ბილარდოს შემცვლელის ძებნისას, არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია იქიდან გამოდიოდა, რომ კანდიდატს ამ დავასთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა. ასოციაცია ითვალისწინებდა მომავალი მწვრთნელის პირად თვისებებს, მოტივაციას და ყოველთვის პოზიტიურ მოქმედებას. აი ასე, 46 წლის ასაკში, ალფიო ბასილე სათავეში ჩაუდგა დიდი საერთაშორისო პრესტიჟის გუნდს, რომელსაც არ გააჩნდა "მარადონას ეფექტის" გამოყენების უპირატესობა და არჩევანის საშუალებაც მცირე ჰქონდა, რადგან კლუბებს უკვე დაეწყოთ *"კარგი ფეხბურთელების საზღვარგარეთ გაყიდვა იმისთვის, რომ ცუდი ფეხბურთელებისთვის ფული გადაეხადათ"* (ეს ჟურნალისტ **დიეგო ლუსეროს** სიტყვებია).

ბასილემ არსებულ სიტუაციას ბრძოლა გამოუცხადა და ამასთან, გამარჯვებულის სულსაც არ კარგავდა: ეს იყო პატივისცემისა და იმ პრინციპებისადმი ერთგულების შენარჩუნების კარგი ხერხი, რომელსაც "რივერ პლეიტი" მისდევდა - ზონური დაცვა, ბურთთან კარგი მოპყრობა, შეტევითი მოქმედებები. მან ნიჭიერი ახალგაზრდობა შეკრიბა, გვერდით რამდენიმე გამოჩენილი ვეტერანი ამოუყენა და ისინი ისეთ ძლიერ ნაკრებებთან ბრძოლაში გაუშვა, როგორებიც იყვნენ ბრაზილია, სსრკ, ინგლისი. მას უნდა სცოდნოდა, ვინ იყო მხდალი და ვინ არ კარგავდა მებრძოლ სულს სერიოზული გამოცდის დროს. ერთი წლის განმავლობაში, ნაკრებს არცერთი შეხვედრა არ წაუგია.

1993 წელს, ეკვადორში გამართული კოპა ამერიკა ამ ციკლის პირველი ოფიციალური ტესტი გახდა. მას მოგება უნდოდა, თავისი განწყობა მოთამაშეებსაც გადასდო და გაიმარჯვა კიდეც. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, არგენტინის ნაკრები ისეთ პრობლემებს გადააწყდა, რომლის გადაჭრაც ვერ შეძლო, მაგრამ ეს სხვა ისტორიაა.

## თამაში თუ მოგება?

ერთი პრაგმატიკოსი არგენტინელი ჟურნალისტი თვლის: *"ერთადერთი და მნიშვნელოვანი - გამარჯვებაა"*. მეორე, ასევე არგენტინელი, იდეალისტი მას უსწორებს: *"მთავარია - ლამაზი თამაშით ტკბობა"*. მე მგონი, აქ ეჭვი არ არსებობს: ყველაზე მნიშვნელოვანი არა მოგება, არამედ ფეხბურთით სუნთქვა და ცხოვრებაა.

*"მირჩევნია ცუდად ვითამაშო და მოვიგო"*, - დაულალავად იმეორებენ პრაგმატიზმის მიმდევრები და იგნორირებენ იმას, რომ შეთავსება არაბუნებრივია: ვერავინ იგებს ცუდი თამაშის წყალობით. ასე უნდა ითქვას: მოგება, მიუხედავად ცუდი თამაშისა.

"სანტიაგო ბერნაბეუს" ტრიბუნებზე დიდი ევროპული შერკინების წინ დაძაბულობა სუფევდა. ფრანგმა მსაჯმა საკუთარ გასახდელში მიიწვია "რეალის" მწვრთნელი **ტოშაკი** და "მილანის" მწვრთნელი **საკი** და მათ გზა ასე დაულოცა: *"ჩვენ 500 მილიონი მაყურებლის წინაშე ვართ პასუხისმგებლები. ველი, რომ კარგი ფეხბურთს აჩვენებთ"*. პირველმა ტოშაკმა უპასუხა: *"ჩვენ მზად ვართ გამარჯვებისთვის"*, მაგრამ საკიმ უკეთესად უთხრა: *"ჩვენი კი - ლამაზი თამაშისთვის"*.

კიდევ უფრო მომწონს კოლუმბიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, **ფრანსისკო მატურანას** ფორმულა, რომელსაც მე ძალიან ხშირად ვიმეორებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მან თქვა: *"თუ ჩვენ კარგად ვთამაშობთ და ვიგებთ - ეს ნორმალურია; თუ კარგად ვთამაშობთ და ვაგებთ - ყოველ შემთხვევაში, სირცხვილის გრძნობა არ გვაქვს; ხოლო თუ ცუდად ვთამაშობთ და და ვაგებთ კიდეც, ეს ჩემთვის ორმაგი დამარცხებაა"*.

ყველამ ვიცით, რომ წაგება ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს არგუმენტებს, ხოლო გამარჯვება კუნთების ზრდაში გვეხმარება, მაგრამ ერთიც და მეორეც ვერ ამოწურავს პოლემიკას, რადგან შედეგის გარდა, ჩვენ აგრეთვე საქმე გვაქვს ემოციებთან, სიხარულთან და უსიამოვნებებთან. შეცდომაა თუ ჩავთვლით, რომ სიტყვები *"ჩვენ კარგ ფეხბურთს ვემხრობით"* - დამარცხებულების თავის გასასამართლებელია. ვინც თამაშობს, ის მხოლოდ თავის ამტანობას და ფიზიკურ მონაცემებს არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ შექმნაზე და სიამოვნების მიღებაზე უნდა იფიქროს, იმაზე, რომ მაყურებელს სიხარული მიანიჭოს, შეეცადოს აღადგინოს იმ გატაცების სიწმინდე, რომელიც ბავშვობიდან მიყვება და იზრუნოს იმაზე, რომ ბრძოლა ლამაზი გამოვიდეს.

თამაშს შეუძლია გამოიწვიოს როგორც ამაღლებული, ასევე ქვენა გრძნობები. ის სავსეა ეშმაკური ხაფანგებით და კეთილშობილი მისწრაფებებით. ზუსტად ერთნაირი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი ლამაზი თამაშით ან დამანგრეველი მოქმედებებით, ბინძური პროვოკაციებითა და წვრილ-წვრილი ჯარიმებით. ძალიან დიდი ხანი, ბრაზილიის ნაკრები ვერ ახერხებდა მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებას, მაგრამ არ შეწყვეტილა აღფრთოვანება მისი ფეხბურთელების მიმართ. მე მეუბნებიან, რომ იმ დღეს, როცა ბრაზილია სერიოზულად თამაშობს, მისი დამარცხება შეუძლებელია. ვშიშობ, მაგრამ მაშინ ეს აღარ იქნება ბრაზილია. მათი "ხუმრობით" თამაში - ხასიათის თვისებაა, ცხოვრების სტილი. წარმოიდგინეთ, მაგალითად, ერთ დღეს ავსტრიელებმა რომ მოინდომონ სამბას ცეკვით მხიარულად თამაში. არაფერი გამოუვათ.



ალფიო ბასილე და ლეო მესი

## რა არის ფეხბურთი?

პრესტიჟული ჟურნალის, "ფრანს ფუტბოლის" მიმომხილველმა **ჟაკ ტიბომ** თქვა, რომ *"ფეხბურთი აინშტაინის თეორიაზე მარტივი, მაგრამ "ორჯერ ორზე" რთულია"*. მე მომწონს ეს განსაზღვრება.

ფეხბურთში ჭეშმარიტების პოვნა შეუძლებელია. ის ძალიან ბევრ სამართლიან მოსაზრებას წარმოშობს იმისთვის, რომ თავადაც ჰქონდეს პრეტენზია საკუთარ სამართლიანობაზე. გარდა ამისა, ჩემს მიერ უკვე ციტირებული არგენტინელი მწერალი და მოაზროვნე **ხორხე ლუის ბორხესი** გვაფრთხილებს, რომ პირველობა - უტაქტობაა.

შესაძლოა, ღირდეს დავუბრუნდეთ საკითხს: რა არის ფეხბურთი? მთელი თავისი ნაკლითა თუ ზედმეტობებით, ის პირველ რიგში - თამაშია. მხოლოდ ამის შემდეგ გვაქვს საქმე რაღაც სერიოზულთან.

თამაშობ ისე, როგორც ცხოვრობ, ერთნაირები ვართ ცხოვრებაშიც და თამაშშიც. ამიტომაც არის, რომ გერმანელები, ავსტრიელები, დანიელები ან მაგალითად სკანდინავები დისციპლინირებულ და ეფექტურ ფეხბურთს თამაშობენ, ხოლო ნებისმიერი ბრაზილიური გუნდი - ეს მისი მიწის რითმი და პროდუქტია. და როცა ნაკრები ცდილობდა სხვა ყაიდაზე ეთამაშა, ეს მისთვის ცუდად მთავრდებოდა: მოთამაშეები თავსმოხვეულს ვერ იტანენ. არგენტინელებს სისხლში აქვთ ინდივიდუალიზმი და კოლექტიური პასუხისმგებლობის დეფიციტი. და თუ ეს საზღვრები ხანდახან ქრება ხოლმე, ეს იმიტომ, რომ ფეხბურთი დროში ცხოვრობს, ჩვენი დრო კი, სტილების დაძლოებაა.

სხვადასხვა ხასიათისა და სოციალური ფენის ადამიანებისგან შემდგარი ყოველი გუნდის ფუნქციონირებაში ჰარმონიული პრინციპებია ჩადებული. დიახ, თამაში - ეს არის ორ გუნდს შორის დაპირისპირება, მაგრამ ის წინასწარ შეთანხმებული წესებით მიმდინარეობს. ამბობენ, რომ ჩინეთში, სადაც ორთაბრძოლები მრავალი ათასწლეულებია დაშვებულია, მოწინააღმდეგეები მადლობას უხდიან ერთმანეთს დათმობილი დროის სანაცვლოდ. ფეხბურთი ამ დონის ელეგანტურობამდე არასოდეს ამაღლებულა, მაგრამ მოწინააღმდეგეებს შორის ურთიერთპატივისცემა ყველგან და ყოველთვის იგულისხმება. პლუს გუნდის შიგნით ხასიათების გაერთიანება და შემდეგ ამის გულშემატკივრებთან შერწყმა - ეს ყველაფერი არის კიდეც საფეხბურთო სპექტაკლი, რომელსაც სრული უფლება აქვს ითვლებოდეს ქალაქის სახალხო კულტურის ნაწილად.

მე, როგორც საფეხბურთო თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების კრებულის შემქმნელს, მსიამოვნებს იმის აღნიშვნა, რომ ფეხბურთს გვერდი ვერ აუარეს მოაზროვნეებმა, პოეტებმა, პროზაიკოსებმა. **ალბერ კამიუ**, სხვათა შორის, საკმაოდ კარგი მეკარე, აღიარებდა: *"ყველაზე საუკეთესო, რასაც ზნეობრივ სფეროში მივაღწიე, ჩემთან ფეხბურთისგან მოვიდა"*.

რაფაელ ალბერტინიმ მთელი პოემა მიუძღვნა "ბარსელონას" მეკარეს. ცნობილი ადამიანების სიას აგრძელებენ **ხულიო კორტასარი, მარიო ბენედეტი, ვარგას ლიოსა...** საფეხბურთო მინდორი ბევრი მწერლისთვის თუ მხატვრისთვის ქცეულა აღმაფრენის წყაროდ. შეიძლება ეს ნაკლებად შეიმჩნევა ესპანეთში, რადგან ამ ქვეყანაში, ტრადიციულად ყველაფერი ხარებისა და სისხლის არენის გარშემო ბრუნავს.

ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანების გასართობი, იოლად იქცევა ხოლმე უკიდურესობად, რომელიც შეიძლება ფანატიზმში გადაიზარდოს, ეს კი, უმეცრების ყველაზე საშიში გამოვლინებაა. უკანასკნელ დროს, ამ ტენდენციამ ფეხბურთში ძალიან სახიფათო ფორმები მიიღო. მინდორსა და არენებზე ქუჩებიდან რასიზმმა შემოაღწია. ტრიბუნა მღელვარებისგან ინძრევა იმ დროს, რომ ბურთს ფერადი მოთამაშე ეხება, გაზეთებსა და ეკრანებზე ვხედავთ შეურაცხმყოფელ პლაკატებს, რომლებიც სტადიონზე მიაქვს ფაშისტური მსოფლმხედველობის ახალგაზრდობას. ეს მოქმედებები არღვევენ საფეხბურთო სამყაროსა და მთლიანად სამყაროს ჰარმონიას.

**გია თვალაბეიშვილი**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA-ს დრაფტი

# შერმადინის ანატომია

## ქართველი ცენტრი ამერიკელი სკაუტების თვალით



**გიორგი შერმადინის** შესახებ დიდი ხანია არაფერი დაგვიწერია. იგი მომავალი დრაფტისთვის ამერიკაში მწვრთნელ ჯო აბუნასართან ემზადება. აქამდე მკითხველს შერმადინის შესახებ ან მისი ქართველი მწვრთნელის მოსაზრებას ვთავაზობდით, ან მისი მენეჯერის, მაგრამ უცხო თვალით დანახული გიორგი ჯერ არ გვინახავს. უფრო სწორად, აქამდე არ გვინახავს. დღეს გთავაზობთ ვებგვერდ "დრაფტექსპრესზე" გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ავტორი ჯონათან ჯივონი ლას ვეგასში, ჯო აბუნასარის დარბაზში მოვარჯიშე დრაფტის კანდიდატებს დააკვირდა და ექვს მათგანზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა. ავტორმა იქვე მოიბოდიშა, დანარჩენი 22 კალათბურთელიც იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ მათზე მოგვიანებით დავწერო.

ჯონათან ჯივონის რჩეულ ექვსეულში შევიდნენ: რიჩარდ ჰენდრიქსი, მალიკ ჰეირსტონი, ჯ.ჯ. ჰიქსონი, მარეს სპეითსი, ჯო ალექსანდერი და გიორგი შერმადინი. ვიდრე ქართველზე კონკრეტულად გესაუბრებოდეთ, მოგახსენებთ, რომ ამ ექვსეულიდან ორი (ალექსანდერი და ჰიქსონი), წინასწარი ვარაუდით, დრაფტის პირველ წრეში უნდა აირჩიონ. ახლა გავეცნოთ სტატიას

- ვარჯიშის პირველ დღეს გიორგი შერმადინმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ მოახდინა, არც სროლა წაუვიდა და ვერც მისმა ათლეტიზმმა განმაცვიფრა.

მეორე დღეს 19 წლის ქართველი გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა. როგორც ამბობენ, შერმადინმა კალათბურთის თამაში 3 წლის წინათ დაიწყო. ამის ფონზე, მისი შეტევითი მონაცემები ყურადღებას იმსახურებს. იგი სახიფათოა, როგორც მეტოქის კალათისკენ სახით მყოფი, ასევე – ზურგით. ახალგაზრდა ქართველს შეტევაში თამაშის ხარისხი მაღალ დონეზე დარბაზში ხანგრძლივი მუშაობით უნდა აეყვანა. შერმადინი ფარქვეშ კარგად მოძრაობს და ორიენტაციაც არ დაეწუნება. ასევე სწრაფად შეუძლია ტრიალით მეტოქის ჩამოცილება, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხრიდან. გიორგის არა მხოლოდ ფარქვეშიდან, არამედ საშუალო დისტანციიდან ტყორცნაც დაყენებული აქვს, კარგად გრძნობს ბურთს და ორივე ხელით თანაბრად კარგად ისვრის.

შერმადინს კიდევ ერთი ღირსება აქვს – პერიმეტრზე თამაში. იგი შორეული ტყორცნებისას მეტისმეტად ეფექტურია – ვარჯიშზე სამქულიანებს მაღალი პროცენტული მაჩვენებლით აგდებდა. იგი მოედანზე კარგად გადაადგილდება და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იღებს გადაწყვეტილებებს. ასევე აგრესიულია და შერმადინის მოედანზე ყოფნა ყოველთვის საგრძნობია. ცენტრისთვის ეს კარგი თვისებაა.

ქართველის კიდევ ერთი დადებითი თვისება მისი დრიბლინგია. მართალია, პირველ ნაბიჯს ნელა დგამს, მაგრამ ბურთს ორივე ხელით იმდენად კარგად ფლობს, რომ მოწინააღმდეგეს მისი შეჩერება ყოველთვის უძნელდება.

შეიძლება იმის გამო, რომ შერმადინმა თამაში 3 წლის წინ დაიწყო, მისი ფიზიკური კონდიციები ბოლომდე არ არის დახვეწილი და ამის გამო შეიძლება დაცვაში თამაშისას პრობლემები ჰქონდეს... ასევე, იგი იმდენად სწრაფიც არაა, რომ საჭიროების შემთხვევაში უცბად ავიდეს პერიმეტრზე და მეტოქის შორეული ტყორცნის მცდელობა ჩაშალოს.

გიორგის ათლეტიზმი არ აძლევს შეტევისას იდეალური პოზიციის შერჩევის საშუალებას, უბრალოდ, ადგილს მასზე მძიმე ცენტრები არ დაუთმობენ. იგივე შეიძლება ითქვას შერმადინის დაცვაზე – ფიზიკურად უფრო ძლიერი მეტოქისთვის სივრცის შეზღუდვა გაუჭირდება. ქართველ ცენტრს საკუთარ ათლეტიზმზე კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

ერთ საყურადღებო დეტალზეც გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას: როგორც წესი, ურთიერთშეხვედრებში ახალგაზრდა კალათბურთელები უხეშობას არ ერიდებიან. მეტოქენი არც შერმადინის მიმართ იჩენდნენ კოლეგიალობას და ფარქვეშ თამაშისას მასზე ხშირად უხეშად ჯარიმდებოდნენ. ქართველი ცენტრი ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ მოედანზე ისე ბრუნდებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და არაფერი სტკენოდეს. ეს მეტად საყურადღებო ამბავია – შერმადინი მართალია, ფიზიკურად საკმარისად ძლიერი არ არის, მაგრამ არც რბილი (ჩვენებურად – ფაფასუა) კალათბურთელია.

საშუალება მომეცა, ვიდეოფირზე მენახა გიორგი შერმადინის თამაში საქართველოში. გამოგიტყდებით, იქაური ჩემპიონატის დონე მეტისმეტად დაბალია. ცხადია, შერმადინი სხვებისგან გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც რჩება ერთი პრობლემატური საკითხი: რას წარმოადგენს სხვა კალათბურთელებთან შედარებით და როგორ გამოიყურება ხუთი-ხუთზე თამაშისას? ამ კითხვებზე პასუხს 6-10 ივნისს მივიღებთ, იტალიის ქალაქ ტრევიზოში გასამართ წინასადრაფტო კემპზე.

ყოველთვის სკეპტიკურად ვუყურებდი NBA-სკენ მიმავალ პროგრესირებად კალათბურთელებს, მაგრამ შერმადინში დავინახე ის, რამაც დამაინტერესა და მეტიც – დამაინტრიგა.

მქონდა საშუალება, მენახა გიორგი შერმადინის ვარჯიში "დალას მავერიქსის" უკანახაზელ ჯეისონ ტერის გვერდით. 20-წუთიანი წვრთნის შემდეგ ტერი ქართველით მეტად მოხიბლული იყო და არაერთი საქებარი სიტყვაც გაიმეტა. მაგრამ შედარებისთვის მხოლოდ NBA-ელთან ვარჯიში არ კმარა, საჭიროა რომელიმე მაღალი დონის კალათბურთელის წინააღმდეგ ერთი-ერთზე თამაში.

გიორგის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ მწვრთნელ **ჯო აბუნასარს**: *"ევროპელ კანდიდატებს შორის შერმადინს ერთ-ერთი ყველაზე კარგი მონაცემები აქვს. მან ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ კუნთების მასა 7.5 კილოგრამით მოიმატა. ქართველი კარგადაც ისვრის და კარგადაც დარბის. ბევრს შრომობს და დღითი-დღე პროგრესირებს. კალათთან თავს კარგად გრძნობს და ფიზიკურად რომ მოძლიერდება, მეტად სახიფათო ცენტრად ჩამოყალიბდება."*

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერი. მანუჩარ მარკოიშვილი

# სნაიპერობა კარგია, მოგება უკეთესი იქნებოდა...



მარკოიშვილი ფინალში

**უკრაინის** ჩემპიონატის ფინალში "კიევმა" მეორე მატჩიც შინ ჩაატარა და ბევრისთვის მოულოდნელად გამარჯვება "აზოვმაშს" დაუთმო – 76:81. მარიუპოლელებმა ფაქტობრივად, პირველივე მეოთხედში მოახერხეს შეხვედრის ბედის გადაწყვეტა, როცა ათწუთიანი მონაკვეთი 29:12 მოიგეს.

**მარკოიშვილის** თანაკლუბელებმა გონს მოსვლა ვერც მომდევნო ორ მეოთხედში მოახერხეს და ბოლო რაუნდს 21-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდნენ (49:70).

მეოთხე პერიოდის ამბებს "კიევის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მიმოხილვიდან ვგებულობთ: *"ბოლო ათწუთეულში მასპინძლებმა შტურმი მოაწყვეს. თანაკლუბელებს წინ გაუძღვნენ მანუჩარ მარკოიშვილი და მარკუს ფეისონი. სწორედ მათი ზუსტი სროლების ხარჯზე "კიევმა" სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ მასპინძლებს საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდათ – 5-5 ფოლის გამო სათადარიგოთა სკამს მიაშურეს ჯეკსმა, ჯეტერმა და მარკოიშვილმა."*

მანუმ მეორე ფინალშიც დაამტკიცა, რომ კიეველთაგან არავიზე ნაკლები კალათბურთელი არ არის - შეხვედრის სნაიპერი გახდა: 23 ქულა ჩააგდო, ზედ 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიაყოლა. შეტევაში მარკოიშვილი სწორედ ისე დაისარჯა, როგორც წინა დღეს **გიორგი ცინცაძე** ესტონეთის ჩემპიონატის მესამე ფინალში: ორივე ქართველმა 2-2 ორქულიანი გამოიყენა და 9-9 სამქულიანიდან 5-5 ჩააგდო. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ბუმ "როკს" მოაგებინა, ხოლო მანუჩარმა "აზოვმაშს" ვერაფერი დააკლო.

უკრაინის ჩემპიონატის ფინალური სერიის მომდევნო ორი მატჩი მარიუპოლში "აზოვმაშის" მოედანზე გაიმართება. პირველი 22 მაისს ჩატარდება, მეორე – 24 მაისს. სერია სამ მოგებამდეა და თუ მახუთე შეხვედრის გამართვა გახდა საჭირო, მას კიევი 27 მაისს უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# უკანასკნელი შანსი საოლიმპიადოდ

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **მაკა ჩახნაშვილი** (180) პარიზშია, სადაც „დიდი სლემის" ტურნირში, საფრანგეთის ღია პირველობაზე ასპარეზობს. ტურნირის საპრიზო ფონდი 24 მილიონ 600 ათასი დოლარია. 25 წლის ჩახნაშვილი „როლან გაროსის" კორტებზე დღეს გავა პირველად - პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებური 26 წლის იაპონელ **რიკა ფუჯივარას** (179) შეხვდება. ეს მატჩი მე-15 კორტზე გაიმართება. თუკი გაიმარჯვებს, ჩახნაშვილი მეორე წრეში ფრანგ **ვირჟინ პიშეს** (193) და ბელგიელ **იანინა ვიკმაიერს** (144) შორის გამარჯვებულს შეხვდება. ვიკმაიერი საკვალიფიკაციო ბადეში მე-4 ნომრად არის განთესილი. თუკი ჩახნაშვილი საკვალიფიკაციო ბადეს გაივლის და ძირითადშიც ორ ეტაპს დაძლევს, მას ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსი მიეცემა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მაკა ჩახნაშვილი

სამბო

# 15 მედალი მოაგროვეს

ბრესტში დამთავრებულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები. საწყისი ორი დღის შედეგები გუშინ გაცნობეთ, ბოლო დღეს კი იმ მონაგარს ჭაბუკებმა თითო ოქრო და ბრინჯაო შეჰმატეს, ახალგაზრდებმა - ასევე თითო ვერცხლ-ბრინჯაო. ჭაბუკებში კონტინენტის ჩემპიონი **ბექარ ნემსაძე** (87) გახდა, მესამეზე კი **ზვიად მამულაშვილი** (56) გავიდა. ახალგაზრდებში ვერცხლი **ივანე ბერიძემ** (74) მოიპოვა, ბრინჯაო - **გურამ ნიჟარაძემ** (100).

შეგახსენებთ, რომ მანამ ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **ნოდარ კუდუხაშვილი** (75) გახდა, **ზვიად კაპანაძემ** (65) და **გურამ მჭედლიძემ** (+87) ვერცხლის, მერაბ **დვალიშვილმა** (60) და **იაგო მესტვირიშვილმა** (81) კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ახალგაზრდებში ოქროს მედლები **გიორგი გეჯაძემ** (48) და **ნიკოლოზ კუციამ** (82) მოიპოვეს. **გიორგი ტაბატაძე** (62) მეორეზე გავიდა, **თამაზ ნოზაძე** (52), **დავით კარბელაშვილი** (90) და **დავით ბოჭორიშვილი** (+100) - მესამეზე.

ამდენად, ახალგაზრდებმა 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს, ჭაბუკებმა - ასევე 2-2 ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ორივე ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# იუ-ჯი-თის კვირეული




ლეილა მესხი და ერმილე სულაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ, ჩოგბურთის აკადემიაში შენობაში ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებთან შეხვედრის მთავარი მოტივი იმავე აკადემიის კორტებზე დაწყებული საჩოგბურთო ტურნირი იყო, რომელშიც ოთხი ასაკის 10-12-14 და 16 წლის გოგო-ბიჭები თამაშობენ. ტურნირი პირველი კატეგორიისაა და „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა იუ-ჯი-თის თასზე" - ეწოდება. UGT აბრევიატურაა ქართული კომპანიისა, რომელიც ქართულად ასე ჟღერს: გაერთიანებული ქართული ტექნოლოგიები. ეს კომპანია ტურნირის გენერალური სპონსორია. თავისი ინტერესი ქართული ჩოგბურთის მიმართ კომპანიის ხელმძღვანელობამ მეორე წელიწადია, რაც გამოიჩინა, სულ კი, აღნიშნული გათამაშება ათწლიან ისტორიას ითვლის.

პრესკონფერენციაზე კომპანია იუ-ჯი-თის ფინანსური დირექტორი **ერმილე სულაძე** მობრძანდა. ქალბატონმა ლეილამ მოკლედ ისაუბრა ტურნირზე და გენერალურ სპონსორთან თანამშრომლობაზე. ხაზგასმით კი ასპარეზობაში ჩართულ 200-მდე ჩოგბურთელზე თქვა - შარშანდელთან შედარებით, 40 ბავშვით მეტი თამაშობს, რაც საქართველოში ჩოგბურთის განვითარებაზე და პოპულარობის ზრდაზე მეტყველებს. სიტყვაუხვი არც ბატონი ერმილე ყოფილა, აღნიშნა, რომ ამაყია ქართულ ჩოგბურთთან ურთიერთობით და იმით, რომ ხელს უწყობს ქვეყანაში ამ სახეობის განვითარებას.

კითხვაზე, აპირებთ თუ არა, თანამშრომლობის გაფართოებას და სხვადასხვა მასშტაბის ტურნირების ჩატარებას, ლეილა მესხმა დადებითად გვიპასუხა: როგორც ბავშვთა, ისე პროფესიონალთა შორის ტურნირების ჩატარების პერსპექტივა ნამდვილად არსებობს, - ამ საკითხზე კომპანიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები გვექნება და იმედი მაქვს, რომ - წარმატებულიც.

რაც შეეხება თავად ტურნირს, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 200-მდე ჩოგბურთელი ასპარეზობს. წლეულს რეგიონებიდან რეკორდულად ბევრი ბავშვი ჩამოვიდა; გაფართოვდა საჩოგბურთო გეოგრაფიაც: თბილისის გარდა ქუთაისელი, ბათუმელი, თელაველი და გორელი სპორტსმენებიც ვიხილეთ. განსხვავებულია გათამაშების ფორმატიც: საწყის ეტაპზე ყველას ერთხელ წაგების უფლება აქვს და ტურნირს მხოლოდ მეორე მარცხის შემდეგ ტოვებს. მართალია, ასაკობრივ ტურნირებში ფულადი პრიზები დაწესებული არ არის, მაგრამ წამახალისებელი საჩუქრები მაინც უხვად დარიგდება: ოთხივე ასაკობრივ ჯგუფში პირველ სამეულს სპეციალური პრიზები - საჩოგბურთო ამუნიციები, ჩანთები, თასები და სხვადასხვაგვარი ფასიანი საჩუქრები გადაეცემა.

ტურნირი ფინიშს კვირას, 25 მაისს მიაღწევს, - გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოვება საღამოს 16 საათზე გაიმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთი. სკანდალის შემდეგ

# რისთვის იჩხუბეს?

## ბერძენიშვილს თამაშის უფლება ჰქონდა

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი დიდი სკანდალით დასრულდა. აყალმაყალი ორრაუნდიანი იყო და მისი ძირითადი მიზეზი სტუ-ს ხელბურთელი **ლევან ბერძენიშვილი** გახდა.

ბერძენიშვილი სეზონის შუა ნაწილში იჯარით გადავიდა თურქეთის „ჩაიკურში", საიდანაც ახლახან დაბრუნდა და სტუ-ს შემადგენლობაში ითამაშა საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ სერიაში. ამას მოჰყვა „თბილისის" ხელმძღვანელობის პროტესტი - ბერძენიშვილს სტუ-ში თამაშის უფლება არ ჰქონდა, რაკილა კიდევ თურქებთან აკავშირებდაო კონტრაქტი.

ხელბურთის ფედერაცია კი საპირისპიროს ამტკიცებდა - ბერძენიშვილს 5 მაისს დაუმთავრდა „ჩაიკურთან" საიჯარო ხელშეკრულების ვადა და მისი ფინალში თამაში კანონის სრული დაცვით მოხდაო.

ფედერაციის არგუმენტი „თბილისის" შეფ **მამუკა მჟავანაძისთვის** მიუ და მაინც ლევან ბერძენიშვილს გაარტყა, რასაც გუნდური ჩხუბი მოჰყვა...

რასაკვირველია, დაგვაინტერესა, რეალურად არსებობდა თუ არა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ლევანს ფინალებში თამაში შეეძლო. ამის გასარკვევად გუშინ **ზურაბ კაკაბაძეს** ხელბურთის ფედერაციაში ვესტუმრეთ.

კაკაბაძემ მართლაც დაგვიდო თურქებისგან გამოგზავნილი საბუთი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ბერძენიშვილთან ხელშეკრულება 5 მაისს შეწყდა და იგი „ჩაიკურიდან" თავისუფალია. ამის შემდეგ, კაკაბაძემ კომენტარიც მოგვაწოდა:

- ვერაფრით ვხვდები, რატომ ატყდა ბერძენიშვილის კონტრაქტის გამო ამხელა აურზაური. მითუმეტეს, რომ „თბილისის" წარმომადგენელს ოფიციალური დოკუმენტაცია ვაჩვენეთ. და თუ „თბილისის" ხელმძღვანელებს შეგნებულად არ უნდათ სიმართლის გაგება, ეს მათი პრობლემაა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბერძენიშვილის ფინალში თამაშის ნებართვა მხოლოდ მე არ ბიდან ქართულში სათამაშოდ ჩამოდის, არსებობს მისი საბუთების ოფიციალურად მოგვარების სხვადასხვა ვარიანტი - გააჩნია, რა სახის კონტრაქტი აკავშირებდა მას უცხოურ კლუბთან. არსებობს ხელშეკრულების სახე, რომლითაც თანხაა გადასახდელი და არის ვარიანტი, როცა მოთამაშე უსასყიდლოდ ბრუნდება.

ბერძენიშვილისა და სამყურაშვილის შემთხვევაში, მათ არანაირი თანხა არ ჰქონდათ გადასახდელი, რადგან საიჯარო ხელშეკრულებით იყვნენ წასულები თურქეთში.

რაც შეეხება თარიღს, მათ თავიდან 20 მაისამდე გააფორმეს „ჩაიკურთან" საიჯარო კონტრაქტი, მაგრამ ორივე მხარის შეთანხმებით, კონტრაქტი 5 მაისს გაწყდა, რისი წერილობითი ოფიციალური დასტურიც მივიღეთ თურქებისაგან.

სხვათა შორის, აპრილში ასევე ნაადრევად გაწყვიტა შვედეთის „მალმესთან" ანალოგიური კონტრაქტი სტუ-ს ძირითადმა მეკარე **შოთა თევზაძემაც**. თუმცა, მაშინ შვედებისგან ამის ოფიციალური



ღებელი აღმოჩნდა, რომელმაც ფინალური სერიის პირველ მატჩში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძეს**, ხოლო მეორე მატჩის მიწურულს, მას ხელითაც შეეხო. იმავე მატჩში, „თბილისის" მოთამაშე მწვრთნელმა **ტიტე კალანდაძემ** მაინც გამიცია - პრეზიდიუმმა განიხილა აღნიშნული საკითხი და რაკილა საბუთები წესრიგში იყო, ლევანს და „ჩაიკურიდან" წამოსულ კიდევ ერთ სტუ-ელს - სათადარიგო მეკარე **გაგა სამყურაშვილს** ფინალებში თამაშის ნება დართო.

საერთოდ, როდესაც სეზონის განმავლობაში ხელბურთელი უცხოური კლუ დასტური ვერ მივიღეთ და შოთას საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არ მივეცით სტუ-ში თამაშის უფლება.

მოკლედ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბერძენიშვილისა და სამყურაშვილის ფინალებში თამაში სავსებით კანონიერი იყო.

**კობა ხატისაშვილი**

# ჭანტურია უთასოდ დარჩა

მაკედონიაში ქვეყნის თასის გათამაშება დასრულდა. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი გამოკვეთილი ფავორიტი - „მეტალურგი" და „ვარდარი".

სამწუხაროდ, მაკედონიის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, რეზო ჭანტურიას „მეტალურგმა" დუბლი ველარ გაიფორმა. ჩვენებურის კლუბი ფინალში 23:27 დამარცხდა და თასი „ვარდარს" დაუთმო.

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო

# რა თქმა უნდა, ცირეკიძე!

გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ მუსკომედიის თეატრში 2007 წლის სეზონის ლაურეატები დააჯილდოვა. ბუნებრივია, იტყვით, რალა დროს 2007 წელიწადიაო და სამართლიანადაც - დაჯილდოება რომ დაუგვიანდა, ამას არც ფედერაცია უარჰყოფს. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და ფედერაციამაც რამდენჯერმე გადადებული ღონისძიება საბოლოოდ მაინც ჩაატარა. თუმცა არც ისეა საქმე, თითქოს რჩეულ ფალავანთა წარმატებები გვიან გაახსენდა, მაგრამ ეს ნოვატორული იდეა შემოდგომაზე დაწყებულმა პოლიტიკურმა ვნებებმა შეიწირა. არადა, ასეთი დაჯილდოება ძიუდოში ჯერ არ გამართულა და მსგავსი ნოვაციით ვერც ბევრი სხვა ფედერაცია დაიკვეხნის.

ფედერაციამ ნომინანტები რამდენიმე კატეგორიაში გამოავლინა. შარშანდელი სეზონის აღმოჩენად **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) დაასახელეს, რომელმაც ევროპა-მსოფლიოზე მედლები ვერ მოიპოვა, მაგრამ ორივეგან მეხუთეზე გავიდა და მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა სპეციალისტებს. თან, ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა და ეს ყველაფერი მისთვის სადებიუტო სეზონში. ვეტერან სპორტსმენად ამაგდარი და ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრი, 33 წლის **ნესტორ ხერგიანი** (60) დაასახელეს, საუკეთესო მსაჯად კი უმაღლესი კატეგორიის არბიტრი **მერაბ ლოსეურაშვილი** აღიარეს.

საუკეთესოები დაასახელეს მწვრთნელთა შორისაც. ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელის წოდება ეროვნული გუნდის თავკაც შოთა ხაბარელს მიენიჭა, რეგიონებში მომუშავე მწვრთნელთაგან საუკეთესოდ გორელი **ანზორ თენაძე** სცნეს, ხოლო საუკეთესო პირად მწვრთნელად **გურამ მოდებაძე** აღიარეს. ვფიქრობთ, ძალზე სამართლიანადაც, რადგან შვიდკაციან ოლიმპიურ გუნდში უმეტესობა, 4 ფალავანი სწორედ მისი შეგირდია - **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100). რეგიონალურ ფედერაციებს შორის მოწინავედ ქვემო ქართლისა სცნეს, რომლის წარმატებებიც ბოლო ხანებში მართლაც თვალსაჩინოა. ჯილდო მის პრეზიდენტ თენგიზ ნავერიანს გადაეცა. ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ჩოჩიშვილი** დაჯილდოვდა, თუმცა ის ავადმყოფობის გამო საღამოს არ დასწრებია და პრიზი მისმა ვაჟმა, ყოფილმა ძიუდოისტმა **რამაზ ჩოჩიშვილმა** ჩაიბარა.



ნიკა ვაჩეიშვილი და ირაკლი ცირეკიძე

გიორგი ჭანიშვილის ფოტო

საღამოს კულმინაციად მაინც სეზონის საუკეთესო მოჭიდავის დასახელება იქცა. ცხადია, ამ ნომინაციაში მსოფლიო ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (90) უკონკურენციო გახლდათ, ხოლო ევროპის სამგზის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს.

ფედერაციამ საუკეთესო სპონსორებიც გამოავლინა. შარშან გაწეული დიდი დახმარებისთვის მადლობები გადაუხადეს „ჯეოსელს", „ნატახტარს", „პატარძეულს", „სახალხო ბანკსა" და „ბანკი რესპუბლიკას". აღინიშნა, რომ მათი დიდი დახმარების გარეშე ეს წარმატები არ იქნებოდა და მადლობებიც გადაუხადეს, მაგრამ ნომინაციაში გამარჯვებულებად „ცენტრ პოინტი" და „ვისოლი" დაასახელეს.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. ლეგიონერები

# გიგაური ბეზიეში გადადის



რევაზ გიგაური

**საფრანგეთის ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტური დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, პირველი დივიზიონის ერთი ხელმოცარული მამუკა მაგრაქველიძის „ოშია“. კიდევ ერთ „ქართულ“ გუნდს „დაქსს“ თეორიული შანსიღა დარჩა დივიზიონში დასარჩენად.**

დაქსელებმა განვლილ 22-ე ტურში საკუთარ მოედანზე მცირე სენსაცია გამოაცხვეს და პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი ბასკური „ბიარიცი“ დაამარცხეს 17:12, თუმცა **ირაკლი გიორგაძის** გუნდს ამან საშუალება არ მისცა, კონკურენტ „ალბის“ დასწეოდა. ალბელებმა თავის მხრივ **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშს“ სძლიეს შინ მშრალი ანგარიშით 29:0. ქართველთაგან ამ შეხვედრებში მხოლოდ მაგრაქველიძემ ითამაშა, ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი 54-ე წუთზე, მატჩის არბიტრმა ყვითელი ბარათი უჩვენა. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

კვლავ ერთპიროვნულად განაგრძობს ლიდერობას **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „კლერმონი“, რომელმაც შინ „პერპინიანი“ დაამარცხა 29:15. კატალონური კლუბი პლეი ოფში, სავარაუდოდ, სწორედ ვულკანების პირველი მეტოქე იქნება. ზირაქაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და მე-40 წუთზე გაასინბინეს. შველიძე სათადარიგოთა შორის იყო.

მარცხი იწვნია 22-ე ტურში გათამაშების კიდევ ერთმა ფავორიტმა „სტად ფრანსემ“. პარიზელები სტუმრად დამარხდნენ **დავით ხინჩაგაშვილის** „ბრივთან“ - 3:11. ხინჩაგაშვილი ტრავმირებულია. საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ბურგუენი“ **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიემ“ 12:6. გორგოძე განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია. ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

ბასკეთში **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონთან“ დამარცხდა **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ 16:27. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიულიათ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXII ტური. **ბრივი-სტად ფრანსე 11:3, კლერმონი-პერპინიანი 29:15, ტულუზი-მონტობანი 28:6, ბაიონი-კასტრი 27:16, ალბი-ოში 29:0, მონპელიე-ბურგუენი 12:6, დაქსი-ბიარიცი 17:12.**

**საჭურნირო მდგომარეობა:**

1.კლერმონი-85 ქულა, 2.ტულუზი-81, 3.სტად ფრანსე-69, 4.პერპინიანი-62 / 5.კასტრი-56, 6.ბიარიცი-55, 7.მონტობანი-50, 8.მონპელიე-48, 9.ბაიონი-47, 10.ბურგუენი-44, 11.ბრივი-41, 12.ალბი-41 / 13.დაქსი-34, 14.ოში-15

მეორე დივიზიონში **გია ლაბაძის** „ტულონმა“ ისევ გაზარდა სხვაობა უახლოეს მდევართან, **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგთან“. თუმცა ამაში წვლილი ყველაზე მეტად **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენს“ მიუძღვის, რომელმაც გასვლით შეხვედრაში დაამარცხა რასინგელები 15:13. „აჟენს“ ამ გამარჯვების შემდეგ პლე ოფში გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა. ქართველ მორაგბეებს თამაშში მოანწილეობა არ მიულიათ.

ტულონელებმა კი ამასობაში **მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „ორიაკი“ დაამარცხეს დიდი ანგარიშით 50:17. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ურჯუკაშვილი შეხვედრაში 63-ე წუთიდან ჩაერთო. ჟღენტი განაცხადში არ იყო.

შინ გაიმარჯვა „ბეზიესთან“ დაპირისპირებაში და პლეი ოფის საგზური პრაქტიკულად გაინაღდა **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა“ 26:21. მაჩხანელი განაცხადში არ იყო. აღსანიშნავია, რომ „ბეზიეც“ პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის. ამ ლანგედოკურ კლუბში კი ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვალავ ითამაშებს ქართველი მორაგბე - „ბეზიესთან“ კონტრაქტი ახლახან საქართველოს ნაკრების შუამარბმა **რეზო გიგაურმა** გააფორმა.

შინ გაიმარჯვა „ბორდოსთან“ მატჩში **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონმა“ 21:19. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 23-ე წუთზე შეცვალეს. სტუმრად გაიმარჯვა **იგორ ბარბაქაძის** „ტარბთან“ მატჩში **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა“ 18:12. აშვეთია თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო.

II დივიზიონი. XXVII ტური. **ნარბონი-ბორდო 21:19, ლა როშელი-გრენობლი 17:20, ტულონი-ორიაკი 50:17, პო-ლიმოჟი 35:18, ბლანიაკი-ლიონი 3:18, მეტრო რასინგი-აჟენი 13:15, ტარბი-ოიონაქსი 12:18, მონ დე მარსანი-ბეზიე 26:21.**

**1.ტულონი-97 ქულა / 2.მეტრო რასინგი-90, 3.მონ დე მარსანი-84, 4.ბეზიე-74, 5.აჟენი-72 / 6.გრენობლი-72, 7.ლიონი-70, 8.ლა როშელი-70, 9.ოიონაქსი-64, 10. პო-63, 11.ორიაკი-61, 12.ნარბონი-53, 13.ბორდო-48, 14.ტარბი-41 / 15.ლიმოჟი-27, 16.ბლანიაკი-26.**

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

# გვიანი გამარჯვება



გუშინ მაისის ბაშოზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** დოჰიოზე დააგდო მესამე მაეგაშირა **მიაბიამა**, რომელიც 183 კილოს იწონის. ეს კოკაის მეორე გამარჯვებაა, დღეს ქართველი პირველი მაეგაშირა მონღოლ სეკივაკე **ამას** ხვდება. გუშინ მეექვსე მარცხი განიცადა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**, მე-14 მაეგაშირამ **კაკიძოესთან** წააგო – 4-6. დღეს ტოჩინოშინი მეშვიდე მაეგაშირა **ტაკამისაკარის**, იაპონელ სუმოს მოყვარულთა კერპს შეხვდება. ტოჩინოშინს მხოლოდ ერთი წაგების უფლებაღა დარჩა.

მაისის ბაშოზე ერთპიროვნულად ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** ლიდერობს 10 მოგებით. გუშინ ამამ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** მისივე საყვარელი ილეთით, უვატენაგეთი დაამარცხა. ასე რომ, ორივე იოკოძუნას 9-9 მოგება აქვს. დღეს ტურნირზე ძალზე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლაა კოტოოშუს დაუმარცხებელი სერიის დასრულებას მონღოლი **ასაშორიუ** შეეცდება.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში 0-5 ბალანსი აქვს **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელს)**, რომელიც გუშინ ისვენებდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ნაცუ ბაშო**

(მაისის სუპერტურნირი)

11-25 მაისი. ტოკიო (იაპონია)

X დღე: კოკაი (1)-მიაბიამა (3) 1:0 (ჰიკიოტოში); ტოჩინოშინი (14)-კაკიძოე (13) 0:1 (ოშიდაში); ამა (ს)-ჰაკუჰო (ი) 1:0 (უვატენაგე); ასაშორიუ (ი)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0 (იორიკირი); კიოკუტენჰო (2)-კაიო (ო) 1:0 (იორიკირი); კოტომიცუკი (ს)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0 (უვატედაშინაგე); კოტოოშუ (ო)-კაკურიუ (3) 1:0 (ოკურიტაოში); ასასეკირიუ (კ)-ვაკანოჰო (2) 1:0 (უვატეჰინერი); ბარუტო (1)-კისენოსატო (კ) 1:0 (ჰატაკიკომი); ამინიშიკი (4)-ტაკამისაკარი (7) 1:0 (იორიკირი).

საჭურნირო მდგომარეობა. 10-0: კოტოოშუ (ოძეკი). 9-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); ჰაკუჰო (იოკოძუნა). 8-2: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 5). 4-6: ტოჩინოშინი (მ 14). 2-8: კოკაი (მ 1).

XI დღე: კოკაი (1)-ამა (ს); ტოჩინოშინი (14)-ტაკამისაკარი (7); ასაშორიუ (ი)-კოტოოშუ (ო); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო); კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (3); კაიო (ო)-ვაკანოჰო (2); კისენოსატო (კ)-კოტოშოგიკუ (ს); ასასეკირიუ (კ)-ბარუტო (1); ამინიშიკი (4)-გოეიდო (7); ივაკიამა (11)-ტოიონოშიმა (5).

ჭადრაკი

# ქადრაკიდან მკლავჭიდში


და-ძმა წერეთლები

რამდენიმე დღის წინათ თბილისის სომხური თეატრის სცენაზე ქართველი მკლავჭიდელები შეერკინენ ერთმანეთს. ტურნირი ვახტანგ გოგუაძის სახელს ატარებს და სპონსორი მისი ვაჟი, სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატი **გიორგი გოგუაძე** იყო.

შეჯიბრება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის გაიმართა. სპორტის ძალისმიერ სახეობებში ქალის მონაწილეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს; ჩვენს შემთხვევაში კი კიდევ მეტად ეკუთვნის გამორჩევა, რადგანაც უკვე მეორე წელიწადია ქართველ ქალებს მკლავს „უგრეხს“ საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში **თამარ წერეთელი**. მართალია, ქართველ ქალ მკლავჭიდელთა რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ ვინც მოიძევება, თამრიკოზე უფროსები და გამოცდილები არიან; ზოგი სულაც არიდებს თავს ლიდერად ქცეულ მოჭადრაკესთან პაექრობას...

თამარი, რამდენიმე თვის წინათ, ჩვენთან საუბარში აღნიშნავდა, რომ მკლავჭიდს დროებით შეეშვა და ჭადრაკს ჩაუღრმავდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ განშორება ხანმოკლე ყოფილა - ბავშვობის გატაცება იოლად ვერ დათმო და კვლავ დარბაზს მიაშურა. კითხვაზე, ამჯერად ჭადრაკს ხომ არ მოაკლდება ყურადღებაო, თამარმა უარყოფითად უპასუხა, - ვეცდები, თანაბრად გავანაწილო დრო და ორივე ფრონტზე წარმატებით ვიასპარეზოო. გარდა ამისა, თამარს „საქმეში“ უმცროსი ძმა, ნიკაც გაუყვანია და ოსტატად დასდგომია. შედეგიც არის - 55 კგ-ში დისგან გაწვრთნილ ძმას როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით მეოთხე ადგილი დაუკავებია. დასაწყისისთვის მშვენიერი შედეგია და მომავალში, ალბათ, მეტსაც მიაღწევს და-ძმა - თამარი წლეულს საერთაშორისო ტურნირებზეც გამოვა, რომელთაგან უმთავრესი შეჯიბრი 23-30 ივნისს ნორვეგიაში, ევროპის ჩემპიონატია.

ზვიად შათირიშვილი

ჭადრაკი

# ჯობავამ პირველობა ვერ შეძლო

დასრულდა ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც ბაქომ უმასპინძლა. ბოლო ტურის წინ პირველობის შესანიშნავი შანსი ჰქონდა საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეს, **ბაადურ ჯობავას** – მას შავებით რუსი დიდოსტატი **ევგენი ნაიერი** უნდა დაემარცხებინა, ნახევარი ქულით გადაასწრებდა რუსს და მთავარ პრიზსაც მიიღებდა. სამწუხაროდ, ბაადურმა ვერ იძალა და დაუზავდა რუს მეტოქეს, რითაც პირველობის გვირგვინი გადაუღოცა, თავად კი მხოლოდ მერვე ადგილზე დაასრულა ტურნირი. 7 ქულის მოგროვება კიდევ შვიდმა მონაწილემ შეძლო, რომელთაგანაც ექვსს ქართველზე უკეთესი კოეფიციენტი ერგო; მხოლოდ ინგლისელ **ნაიჯელ შორტს** აჯობა ჯობავამ. სხვათა შორის, იმ შვიდეულში **თამაზ გელაშვილიც** მოხვდა და ერთი საფეხურით აჯობა კიდეც ბაადურს - მეშვიდეზე გავიდა. თამაზმა ბოლო ტურში შავებით აზერბაიჯანელი დიდოსტატი **სარჰან გულიევი** დაამარცხა.

7 დაგროვების კარგი შანსი ჰქონდა **მალხაზ სულაშვილს**, რომელიც თეთრებით აზერბაიჯანელ **ყადირ გუსეინოვს** ხვდებოდა. სამწუხაროდ, ქართველს კომპეტენცია მეათე ნომრად განთესილი დიდოსტატის დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა - წააგო და ექვსი ქულით 26-ე ადგილზე გავიდა. 6 ქულა დააგროვა **მიხეილ მჭედლიშვილმაც**, რომლისთვის ასეთი მარაგი და მით უფრო 21-ე ადგილი წარმატებულად ვერაფრით ჩაითვლება.

ცუდი შედეგი აჩვენა **ლევან ბრეგაძემ**, რომელმაც 5 ქულას მოუყარა თავი და მხოლოდ 61-ე ადგილზე გავიდა, - მისგან აშკარად მეტს ველოდით, ისევე, როგორც **გიგა ყუფარაძისგან** – მან 5 ქულით 54-ე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. არც **დავით მალალაშვილის** შედეგია თავმოსაწონი - 5 ქულა და 55-ე ადგილი ნამდვილად არ შეესაბამება მის კომპეტენციას.

შედარებით უკეთ ითამაშეს **თორნიკე სანიკიძემ** და **გაიოზ ნიგალიძემ** - ორივემ 6 ქულა დააგროვა და შესაბამისად 27-ე და 29-ე ადგილებზე აღმოჩნდნენ, რაც განთესვის ნომრებს 8 და 7 ადგილით სჯობს.

როგორც გითხარით, პირველი პოზიცია არავის დაუთმო რუსმა ევგენი ნაერმა (2627) - 7,5 ქულა; მეორეზეა აზერბაიჯანელი **ფარიდ აბასოვი** (2528) - 7. შემდეგ მოდიან: 3. **ყადირ გუსეინოვი** (აზ. 2625) - 7; 4. **ალექსანდრ ლასტინი** (რუს. 2622) - 7; 5. **ვადიმ მილოვი** (შვეიც. 2690) - 7; 6. **ალექსეი ალექსანდროვი** (ბელ. 2582) - 7; 7. **თამაზ გელაშვილი** (2622) - 7; 8. **ბაადურ ჯობავა** (2658) - 7; 9. **ნაიჯელ შორტი** (ინგ. 2660) - 7; 10. **მარატ ჯუმაევი** (უზბ. 2557) - 6,6; 21. **მიხეილ მჭედლიშვილი** (2635) - 6; 26. **მალხაზ სულაშვილი** (2491) - 6; 27. **თორნიკე სანიკიძე** (2458) - 6; 29. **გაიოზ ნიგალიძე** (2455) - 6; 37. **კონსტანტინე შანავა** (2519) - 5,5; 46. **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) - 5,5; 54. **გიგა ყუფარაძე** (2377) - 5,5; 55. **დავით მალალაშვილი** (2462) - 5; 56. **ბელა ხოტენაშვილი** (2333) - 5; 59. **ნინო ბაციაშვილი** (2304) - 5; 61. **ლევან ბრეგაძე** (2417) - 5; 74. **ანა გავაშელი** (2191) - 5.

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. როლან გაროსის წინ

# საფრანგეთის ღია როდიკის გარეშე



მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი **ენდი როდიკი** "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირს - როლან გაროსს გამოტოვებს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ამერიკელმა პარიზში გამგზავრებაზე მარჯვენა მხარის ტრავმის გამო განაცხადა უარი.

სხვათა შორის, როდიკს ისედაც არ უმართლებდა საფრანგეთის ღია პირველობაზე. წინა ორ სეზონში ის პირველივე წრიდან ეთიშებოდა ტურნირს, საერთოდ კი, როდიკმა უკანასკნელად "დიდი სლემის" ტურნირი 2003 წელს მოიგო. ეს აშშ-ის ღია პირველობაზე მოხდა.

ამერიკელ ჩოგბურთელს მხარის ტრავმა რამდენიმე კვირაა აწუხებს. ის რომის მასტერსზე ნახევარფინალში კი გავიდა, მაგრამ ამ ეტაპზე თამაში ველარ შეძლო, შემდეგ კი, ჰამბურგის მასტერსზეც არ გამოცხადდა.

საფრანგეთის ღია პირველობა მომავალ კვირას აილებს სტარტს და 8 ივნისს დასრულდება.

გია თვალაბეიშვილი

# არანაირი მაფია




დამოუკიდებელმა საგამომძიებლო კომისიამ შეისწავლა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული იმ 45 მატჩის დეტალები, რომელიც მათზე გაკეთებული ფსონების გამო იწვევდა ეჭვებს. ეს გამოძიება ITF-ის, WTA-ს, ATP-ის და "დიდი სლემის" ტურნირების ხელმძღვანელთა მიერ იყო სანქცირებული.

კომისიამ დაადგინა, რომ "თანამედროვე ჩოგბურთი არც პროფესიულად და არც ინსტიტუციურად არ არის დაკავშირებული კორუფციასთან". ამავდროულად, ეს 45 მატჩი გამოძიების გაგრძელებას საჭიროებს.

*"ჩვენ ვერანაირი დამამტკიცებელი საბუთები ვერ მოვნახეთ იმისა, რომ ე.წ. "მაფია", რალაც ფორმით გავლენას ახდენს ჩოგბურთში მიმდინარე მოვლენებზე. ამავდროულად, სავსებით შესაძლებელია, კრიმინალურმა სამყარომ სხვადასხვა ფორმით სცადოს ზოგიერთი ჩოგბურთელის ან ჩინოვნიკის კორუფციაში ჩათრევა. გამოძიების შედეგების მიხედვით, შემუშავდა 15 რეკომენდაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საჩოგბურთო სამყაროს დაცვა. ეს რეკომენდაციები ჩოგბურთის ყველა ხელმძღვანელ ორგანიზაციასთან ერთობლივად შევიმუშავეთ. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია იმაში მდგომარეობს, რომ ის ჩოგბურთელი, რომელიც თამაშის ჩაწყობაში ან სხვა მაქინაციებში იქნება შემჩნეული, სამუდამო დისკვალიფიკაციას მიიღებს"*, - მოჰყავს კვლევის ერთ-ერთი ავტორის, **ჯეფ რისის** სიტყვები BBC Sport-ს.

გია თვალაბეიშვილი

# ედბერგი ბრუნდება



უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი, ლეგენდარული **სტეფან ედბერგი** ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს. კერძოდ, შვედმა გადაწყვიტა ვეტერანთა ტურის ორ ტურნირში მიიღოს მონაწილეობა.

42 წლის ჩოგბურთელის სიტყვებით, მას კორტზე გასვლის სურვილი **პიტ სამპრასის** მაგალითის შემდეგ აღეძრა. როგორც ცნობილია, ამერიკელმა წელს, ასევე ორ ტურნირში გამოსვლის სურვილი გამოთქვა. 2008 წელს, ამ ორი ჩოგბურთელის გზები ერთხელ გადაიკვეთება - დეკემბერში, ლონდონში "ჩემპიონთა ტურზე". ედბერგი აგრეთვე სექტემბერში, პარიზში აპირებს გამოსვლას.

*"დიდ სპორტს თავი 12 წლის წინ დავანებე და მას შემდეგ ბევრჯერ მთხოვეს ჩოგნის ხელში აღება. ამჯერად უარი აღარ ვთქვი. საინტერესო იქნება ჩემს ძველ მეტოქეებთან გაჯიბრება"*, - ამბობს ედბერგი.

ATP-ის ტურში სამპრასისა და ედბერგის პირადი დაპირისპირება 14 მატჩს მოიცავს. შვედმა 8 თამაში მოიგო, ამერიკელმა - ექვსი. პიტის თქმით, ის დიდი ხანია ელის სტეფანთან შეხვედრის შესაძლებლობას.

გია თვალაბეიშვილი

მძლეოსნობა. ახალი ვარსკვლავი

# სტუჩინსკი ისინბაევას რეკორდს დაემუქრა

წლების განმავლობაში, ქალთა შორის ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავს რუს **ელენა ისინბაევას**, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, მისი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ერთი შეხედვით, დანარჩენებისთვის მიუწვდომლად მოჩანს, კინაღამ დაემხო. მისი სახელი კი, ვინც რუსი მხტომელის რეკორდს რეალურად დაემუქრა, **ჯენ სტუჩინსკია** და ის ამერიკელია.

კალიფორნიის კერსონის "ჰოუმ დეპო სენტერის" არენაზე, "ადიდასის" ტურნირზე ასპარეზობისას, 26 წლის სტუჩინსკი მეორე ცდაზევე გადაევლო 4.90 მეტრზე გადებულ თამასას, რაც აშშ-ის რეკორდია. მერე კი მსოფლიო რეკორდის (5.02 მეტრი) დამყარებაც მოისურვა, მაგრამ სამივე ცდა გააფუჭა.

*"ვგრძნობ, რომ რეკორდის დამყარება შემიძლია. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მეტი სტაბილურობა და თავდაჯერებულობა მჭირდება. თანაც, არის ზოგიერთი ტექნიკური ელემენტი, რომლებზეც მუშაობა მმართებს. ამ ტურნირის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგი შედეგი მექნებოდა. რეკორდზეც წავედი, მაგრამ ამჯერად ვერ შევწვდი"*, - განაცხადა სტუჩინსკიმ, ვინც ნიუიორკელია და კალიფორნიულ პაპანაქება სიცხეს (43 გრადუსი ცელსიუსით) ვერაფრით შეეგუა, თუმცა ეს მის გამოსვლაზე უარყოფითად არ ასახულა.

სტუჩინსკიმ ამ სეზონში უკვე გამოიჩინა თავი, როცა მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა. სანამ ჭოკით ხტომას დაიწყებდა, ის ჯერ გოლფს თამაშობდა, შემდეგ კი სოფტბოლში მოსინჯა თავისი შესაძლებლობანი. ღია არენებზე ის 2006 და 2007 წლებში აშშ-ის ჩემპიონი გახდა. დახურულ არენებზე კი თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდება ასევე ორჯერ, 2005 და 2007 წლებში აქვს მოპოვებული. აშშ-ის რეკორდი პირველად შარშან, კერსონშივე ასპარეზობისას დაამყარა და ის შედეგი მოგვიანებით, ნიუ იორკში გააუმჯობესა.

კერსონშივე იასპარეზა 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა**, ვისი იქ გამოსვლაც მცირე ტრავმის გამო საეჭვო იყო. უორინერს მუხლქვედა მყესის ტრავმა აქვს, თუმცა მან ტურნირზე მაინც მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებაც მოიპოვა. თანაც, ამ სეზონში მსოფლიოს მეორე საუკეთესო შედეგი (44.42 წამი) აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში მასზე უკეთესი დრო (44.34 წამი) ამერიკელ **ლაშონ მერიტს** აქვს.

უორინერი თავისი შედეგით კმაყოფილი დარჩა და აი, რატომ: *"ტრავმიანი ფეხით საკმაოდ კარგი დრო ვაჩვენე. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის წინ თავდაჯერებული ვარ. უტრავმოდ გაცილებით უკეთესი შედეგი მექნება"*, - ამბობს უორინერი.

სპრინტერული დუბლი შეასრულა 100 და 200 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონმა, ამერიკელმა **ტაისონ გაიმ**. მან ეს დისტანციები შესაბამისად, 10.05 და 20.08 წამში გაირბინა, რაც მის



სტუჩინსკი ისინბაევას რეკორდს ჯერ ვერ შესწვდა

შესაძლებლობებზე აშკარად უარესია, თუმცა არც უკმაყოფილება დატყობია და თავი ასე "იმართლა" – აქ კარგი შედეგი ჩემი მიზანი არ ყოფილა, გასამარჯვებლად გამოვედიო.

გამარჯვება იქნება მისი მთავარი მიზანი ორი კვირის შემდეგაც, როცა ნიუ იორკში, "რიბოკის" ტურნირზე იამაიკელ **უსაინ ბოლტს** დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ ორასი მეტრის სპეციალისტმა ბოლტმა ორიოდ კვირის წინ, ასი მეტრი ფანტასტიკურ (9.76 წამი – ყველა დროის მეორე უსწრაფესი შედეგი) დროში გაირბინა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# კონტადორის გაზრდილი ამბიცია

იტალიელი **მარციო ბრუსეგინის** გამარჯვებით დასრულდა ჯიროს მორიგი, მეათე ეტაპი, რომელზეც ველომრბოლელები ერთმანეთს დროზე ინდივიდუალურ რბოლაში შეეჯიბრნენ. "ლამპრეს" 33 წლის ველომრბოლმა რვა წამით აჯობა საფრანგეთის შარშანდელი ტურის ესპანელ ჩემპიონ **ალბერტო კონტადორს**, ვინც ხელის სერიოზული ტრავმის მიუხედავად, მაინც აგრძელებს იტალიურ ველომარათონზე გამოსვლას და გუშინდელი ეტაპის შემდეგ, არ მალავს, რომ კვარცხლბეკისთვის ბრძოლას აპირებს.

ბრუსეგინს ოცი წამით ჩამორჩა კონტადორის გერმანელი თანაგუნდელი **ანდრეას კლოდენი**, ვინც თავისი ქვეყნის ჟურნალისტებზეა გამწყრალი და ამბობს, მართალია, ოლიმპიადაზე გამოსვლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი პატივია, მაგრამ მე ამას არ ვიზამ, რადგან გერმანიის სახელით ასპარეზობა აღარ მსურსო. უფრო კონკრეტულად კი, ის ჩივის, რომ ჟურნალისტების გადამკიდე, გერმანიაში ველოსპორტი ჩაკვდა. ჟურნალისტებს კი იმაში ადანაშაულებს, რომ ბოლო ხანს, ველოსპორტს მხოლოდ დოპინგსკანდალების გასაშუქებლად თუ იხსენებენ.

ათი ეტაპის შემდეგ, ლიდერის ვარდისფერი მაისურა ისევ **ჯოვანი ვისკონტის** აცვია, ვინც ეტაპის გამარჯვებულს წუთზე მეტით ჩამორჩა, თუმცა ამის მიუხედავად, ლიდერობა მაინც განიმტკიცა, რადგან ახლა უკვე სამწუთნახევარს უგებს მეორეზე დარჩენილ გერმანელ **მათიას რუსს**. ვისკონტის ორ წუთზე მეტით ჩამორჩა ჯიროს მოქმედი ჩემპიონი, იტალიელი **დანილო დი ლუკა**, ვინც მალია როზას ათი ეტაპის შემდეგ რვაწუთნახევრით ჩამორჩება.

ბრუსეგინმა კარიერაში მეორედ მოიგო ჯიროს ეტაპი. პირველი გამარჯვება მან შარშან იზეიმა და მაშინაც დროზე ინდივიდუალურ რბოლაში. მართალია, მალია როზა ვერ მოვიპოვე, მაგრამ ეს არც იყო მთავარი, რადგან ძალიან ბევრს ვაგებდი და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა ერთ ეტაპზე შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, ის რბოლა მოვიგე, რომელიც უნდა მომეგოო, - ნაფინიშევს განაცხადა ბრუსეგინმა.

რაც შეეხება კონტადორს, შეგახსენებთ, რომ მის გუნდს, ყაზახურ "ასტანას" ფრანგულ ტურზე არ უშვებენ (ხშირი დოპინგსკანდალების გამო). შესაბამისად, ესპანელი ველომრბოლი იქ შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას ვერ მოახერხებს. ჯირო კი მისთვის ერთგვარი კომპენსაციაა. ჰოდა, ისიც არ მალავს, რომ გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ჯიროს კვარცხლბეკზე ასვლის რეალური შანსი გაუჩნდა. თუმცა...

*"მართალია, სხვა ფავორიტებთან უპირატესობა გავზარდე, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. წინ ურთულესი ეტაპები გველის, რომლებზეც ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ, წინასწარ რაიმეს პროგნოზირება ძალიან ძნელია"*, - ამბობს კონტადორი, ვისაც მარცხენა იდაყვში ერთ-ერთი წვრილი ძვალი აქვს გაბზარული, თუმცა როგორც თავად ამბობს, ეს ასპარეზობის გაგრძელებაში ხელს არ უშლის.

მერაბ ლორთქიფანიძე



მარსიო ბრუსეგინი

მე-10 ეტაპი. პეზაროდან ურბინომდე (დროზე ინდ.რბოლა 39.4 კმ)

**1. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 56.41 (41.075 კმ/სთ); 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 0.08; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.20; 4. მარკო პინოტი (იტალია, ჰაი როუდი) 0.36; 5. პაოლო სავოლდელი (იტალია, LPR ბრეიკსი) 0.44; 6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.46; 7. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 0.54; 8. გუსტავ ერიკ ლარსონი (შვედეთი, CSC) 0.59; 9. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, ასტანა) 1.01; 10. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სერამენტი) 1.02... 12. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 1.05...**

კლასიფიკაცია 10 ეტაპის შემდეგ

**1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 43:12.02; 2. მათიას რუსი (გერმანია, გეროლშტაინრი) 3.31; 3. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR ბრეიკსი) 5.50; 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 6.59; 5. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 7.52; 6. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 7.54; 7. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 8.04; 8. პაოლო სავოლდელი (იტალია, LPR ბრეიკსი) 8.09; 9. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 8.32; 10. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 8.33...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| ნ. ორლეანი-ს. ანტონიო | 82:91 |

20:23, 22:28, 14:20, 26:20

ნ-ო: დევიდ უესტი (20+9 მოხსნა), პოლი (18+14 პასი+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), პარგო (18), ჩენდლერი (13+15 მოხსნა).

ს-ა: ჯინობილი (26+5 პასი), პარკერი (17+5 პასი), დანკანი (16+14 მოხსნა), ობერტო (4+9 მოხსნა).

სერია 3:4

## NBA პლეიოფი. 1/2 ფინალი. კალენდარი

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი (1)-დეტროიტი (2)**

20 მაისი. ბოსტონი-დეტროიტი
22 მაისი. ბოსტონი-დეტროიტი
24 მაისი. დეტროიტი-ბოსტონი
26 მაისი. დეტროიტი-ბოსტონი
28 მაისი. ბოსტონი-დეტროიტი*
30 მაისი. დეტროიტი-ბოსტონი*
1 ივნისი. ბოსტონი-დეტროიტი*

**დასავლეთი**

**ლეიკერსი (1)-სან ანტონიო (2)**

21 მაისი. ლეიკერსი-სან ანტონიო
23 მაისი. ლეიკერსი-სან ანტონიო
25 მაისი. სან ანტონიო-ლეიკერსი
27 მაისი. სან ანტონიო-ლეიკერსი
29 მაისი. ლეიკერსი-სან ანტონიო*
31 მაისი. სან ანტონიო-ლეიკერსი*
2 ივნისი. ლეიკერსი-სან ანტონიო*

## ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| დალასი (5)-დეტროიტი (1) | 1:4 |

0:3, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 დრეიპერი-3 (დრეიკი-3, ბ. სტიუარტი-2), 0:2 დაციუკი-9 (ლიდსტრიომი-8, ზეტერბერგი-10), 0:3 დრეიკი-1 (ლებდა-2, სამუელსონი-7), 0:4 ზეტერბერგი-11, 1:4 რობიდასი-3 (რიბეირო-14, ბ. რიჩარდსი-12).

სერია 2:4



ჰენრიკ ზეტერბერგი

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 21 (11+10) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 21 (4+17) |
| მარიან ჰოსა (პიტ) | 19 (9+10) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 19 (9+10) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 19 (9+10) |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 17 (3+14) |
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 16 (9+7) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| იოჰან ფრანცენი (დეტ) | 12 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 11 |
| არ ჯეი უმბერგერი (ფილ) | 10 |
| მარიან ჰოსა (პიტ) | 9 |
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 9 |
| ბრენდან მოროუ (დალ) | 9 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 9 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 9 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 17 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 14 |
| ნიკლას კრონვალი (დეტ) | 12 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 12 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 10 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 10 |
| ვაცლავ პროსპალი (ფილ) | 10 |
| იარომირ იაგრი (რეინ) | 10 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 10 |
| მარიან ჰოსა (პიტ) | 10 |

## NHL პლეი ოფი. ფინალი. კალენდარი

**დეტროიტი (1)-პიტსბურგი (2)**

24 მაისი. დეტროიტი-პიტსბურგი
26 მაისი. დეტროიტი-პიტსბურგი
28 მაისი. პიტსბურგი-დეტროიტი
31 მაისი. პიტსბურგი-დეტროიტი
2 ივნისი. დეტროიტი-პიტსბურგი*
4 ივნისი. პიტსბურგი-დეტროიტი*
7 ივნისი. დეტროიტი-პიტსბურგი*

კალათბურთი. ინტერვიუ კევინ გარნეტთან

# ბერდის მაისურა ჩემთვის ხატივითაა




რეგულარულის ჩემპიონი "ბოსტონ სელტიქსი" კონფერენციის ფინალში ისე გავიდა, სტუმრად ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგია. ეს ნინსვლა იმით არის განპირობებული, რომ დოკ რივერსის გუნდს მოედნის უპირატესობა აქვს და შინ თამაშს არ აგებს.

"კლივლენდის" შვიდმატჩიან სერიაში გამარჯვების შემდეგ, "ბოსტონს" მორიგ მეტოქედ პლეი ოფის ერთ-ერთი გამოცდილი და სახიფათო გუნდი, ჩონსი ბილაპსისა და რაშიდ უოლასის "დეტროიტი" ეყოლება. ამ უკანასკნელმა წინა წრეში იოლად, 4:1 გადაურბინა "ორლანდო მეჯიქს" და სერიას "სელტიქსზე" დასვენებული ხვდება.

"კლივლენდთან" მეშვიდე მატჩში გამარჯვება გუნდის კაპიტანის პოლ პირსის 41-მა ქულამ განაპირობა. დაცვაში კი, კვლავ საუკეთესო იყო კევინ გარნეტი. "სელტიქსის" ფანების ახალი კერპი ბოლო მატჩზე და "დეტროიტთან" დამდეგ დაპირისპირებაზე საუბრობს.

**- რამ განაპირობა სერიის ბოლო მატჩში გამარჯვება?**

- პირსის 41 ქულის გარეშე "კლივლენდს" ვერ გავივლიდით. პოლი ჩემი მეგობარია და ვიცი, როგორ განიცდიდა მთელი პლეი ოფის მსვლელობისას თავის არასტაბილურ თამაშს. ის ხვდებოდა, რომ ამაზე გაცილებით უკეთ შეეძლო გამოსვლა. პირსი გუნდის კაპიტანია, "სელტიქსის" ფანებისთვის უსაყვარლესი მოთამაშე და როდესაც ჩვენი გუნდის გასახდელში მწვრთნელი საუბარს ამთავრებს, ყველამ იცის, რომ შემდეგი სიტყვა პირსისა უნდა იყოს. მან ეს თავისი პროფესიონალიზმითა და თავდადებული თამაშით დაიმსახურა.

**- თქვენგან, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემპიონობას ითხოვენ, გუნდს კი პლეი ოფში არცერთი გასვლითი გამარჯვება არ მოუპოვებია.**

- იცით, როდესაც დარბაზში შევდივარ და თითქმის ყველგან ლარი ბერდის ფოტოს ან მის სახელსა და გვარს ვხედავ, ტანში ჟრუანტელი მივლის. ბერდი ჩემთვის ხატივითაა და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "სელტიქსის" ფანებს ის სიხარული დავუბრუნო, რასაც ისინი ლარის გუნდის ქომაგობისას განიცდიდნენ. გასვლაზე თამაშს ადრე თუ გვიან მოვიგებთ, მაგრამ თუ ბოსტონში ვერავინ გვაჯობა, ამას აზრი ისედაც ალარ ექნება, რადგან ყველა მეტოქესთან მოედნის უპირატესობა ჩვენ გაგვაჩნია.

**- წინ "დეტროიტის" ბარიერია...**

- ძალიან საინტერესო სერია იქნება. "დეტროიტში" ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს, ჩონსი სერიოზული მოთამაშეა და რაშიდის ფაქტორიც გასათვალისწინებელია. "პისტონსი" რომ სუპერგუნდია, ეს ბოლო წლებმა გვაჩვენა და იმედი მაქვს, ჩვენი სერია ამ პლეი ოფის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იქნება. ორივე გუნდს იდეალურად ჰყავს შესწავლილი მოწინააღმდეგე, "დეტროიტი" ამ სერიას ჩვენზე დასვენებული ხვდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოედანზე გამოფიტულები ვიქნებით. პირიქით, ვაცნობიერებთ, რომ ამ სერიის მოგებით, ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯის გადადგმალა დაგვჭირდება და "სელტიქსის" შემადგენლობიდან მოედანზე მეომრები, გლადიატორები გავლენ.

**ზურაბ თალაკვაძე**

# მერიონის და ბუზერის?




"მაიამი ჰიტის" ფორვარდის, **შონ მერიონის** აგენტი **ჯეფ ფიგენი** კლუბის პრეზიდენტს, **პატ რაილის** შეხვდა და მას თავისი კლიენტის ახალი კონტრაქტის დეტალებზე ესაუბრა.

როგორც Miami Herald იტყობინება, აგენტმა დაადასტურა, რომ კალათბურთელიცა და კლუბიც თანახმანი არიან თანამშრომლობის გაგრძელებაზე, მაგრამ საბოლოო შეთანხმებამდე ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გადასაჭრელი. მაგალითად, ჯერ არ არის ცნობილი, რა თანხის კონტრაქტს მიიღებს მერიონი. იმავე გაზეთის აზრით, რაილი შონის სანაცვლოდ დიდ ფულს არ გამოვა, ვინაიდან 2009 წელს, თავისუფალი აგენტების ბაზარზე რამდენიმე ძლიერი კალათბურთელის აყვანა სურს.

გაისად, ერთ-ერთი ასეთი თავისუფალი აგენტი შეიძლება გახდეს "იუტა ჯაზის" ლიდერი **კარლოს ბუზერი**. ამ მძიმე ფორვარდს 2009 წლის ზაფხულში უმთავრდება მიმდინარე კონტრაქტი, "ჯაზთან" ახალ ხელშეკრულებაზე კი, ჯერ მოლაპარაკებები არ დაუწყია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ, რაილი ერთხელ უკვე შეეცადა ბუზერის ხელში ჩაგდებას. მის ნაცვლად **უდონის ჰასლემსა** და **ჯეიმს პოუსის** თმობდა, მაგრამ გარიგება არ შედგა.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

**21 მაისი. ოთხშაბათი**

**რუსეთი 2**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მურსია-ბარსელონა.
14:10 ჩემპიონთა ლიგა. ფინალისწინა პრესკონფერენცია და გუნდების ვარჯიშები.
17:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:40 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 სპორტდოსიე. კრიკეტი.
07:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
09:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ატალანტა.
12:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:50 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
14:20 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. კანადა-აშშ. კანადა.
15:50 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. გერმანია.
19:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:50 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
21:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:45 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
22:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მატჩის წინ.
23:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
02:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-რომა.
03:50 სპორტდოსიე. კრიკეტი.
04:20 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
06:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი.
12:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
15:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XI ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ფორმულა 1. კულისებს მიღმა. ტელეჟურნალი.
22:45 მულტისპორტი.
22:55 პოლო.
23:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:30 გოლფი. PGA-ს ტური.
00:30 გოლფი. ევროპის ტური.
01:00 გოლფ-კლუბი.
01:05 მულტისპორტი.
01:15 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. რეგატა Rolex Farr 40. მაიამი. აშშ.
01:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:50 მულტისპორტი.
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო ჩემპიონატი.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.

**EUROSPORT-2**

06:30 ახალი ამბები.
12:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
17:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჩილე. ტულონი. საფრანგეთი.
18:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი-აშშ. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 პროფესიული კრივი. WBO-ს ვერსია. სუპერმძიმე წონითი კატეგორია. ოლეგ მასკაევი (რუსეთი)-სამუელ პიტერი (ნიგერია).
23:30 კიკბოქსინგი. ტაილანდი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
02:30 ახალი ამბები.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| თურქეთი-სლოვაკეთი | 1:0 |
| **UNDER 21** | |
| შოტლანდია-ნორვეგია | 1:4 |
| **ისლანდია** | |
| აკრანესი-ფრამი | 1:0 |
| რეიკიავიკი-ბრეიდაბლიკი | 1:2 |
| **შვეიცარია. პლეი ოფი** | |
| სტ. გალენი-ბელინცონა | 0:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-სლოვანი | 0:1 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 2:1 |
| ნიტრა-რუჟომბეროკი | 1:0 |
| შენეცი-არტმედია | 4:5 |
| ტრნავა-ჟილინა | 3:1 |

**კალათბურთი**

| ესპანეთი | |
|---|---|
| ხუვენტუდი-ხირონა | 86:75 |
| ტაუგრესი-ვალენსია | 82:61 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-ვიში | 81:43 |
| რუანი-პავრი | 94:72 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| სიმონი-პაშანსკი | 3:6, 6:4, 6:3 |
| კალერი-პატიენსი | 6:2, 7:5 |
| ელ აინაუი-ჰრბატი | 6:3, 7:5 |
| ჟიკელი-კორია | 6:1, 2:6, 7:6 |
| **ATP. პორტშახი** | |
| ლუბიჩიჩი-ჰაიეკი | 4:6, 6:0, 6:3 |
| ისნერი-ვანოცი | 6:3, 6:2 |
| **ATP. გუნდური მს. ჩემპიონატი** | |
| სიოდერლინგი-ბერდიხი | 6:4, 1:6, 6:3 |
| კოლშრაიბერი-სტარაჩე | 6:2, 7:6 |
| ბლეიკი-კანიასი | 7:6, 6:4 |
| ტ. იოჰანსონი-ტაბარა | 6:2, 4:6, 7:6 |
| ფერერი-იუუნი | 6:3, 6:3 |
| ჩელა-ოდესნიკი | 7:5, 6:1 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| კირსტეა-ზაკ პეშკირიჩი | 6:3, 6:4 |
| პეტროვა-ოსტერლო | 6:1, 6:2 |
| პირონკოვა-ჰერცოგი | 6:4, 7:5 |
| ამანმურადოვა-მიულერი | 6:4, 6:1 |
| უნგური-ბუიუქაქჩაი | 6:2, 4:6, 7:6 |
| ჩვოიკოვა-ოზგენი | 7:5, 6:4 |
| **WTA. სტრასბური** | |
| გალოვიტცი-ვაკულენკო | 6:1, 6:1 |
| დე ლოს რიოსი-ვრლიჩი | 0:6, 4:6 |
| ბაშვინსკი-დოკიჩი | 6:4, 6:2 |
| სრებოტნიკი-ლისიცკი | 6:3, 6:1 |
| პერებიინისი-ჰარკლროუდი | 6:2, 6:1 |
| იან ჟი-სანტანჩელო | 7:6, 6:0 |
| რაზანო-ჩანი | 1:6, 0:6 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# დაფარული ტალანტები

## პიანისტი! ილუზიონისტი! მეღვინე!.. ფორმულა 1-ის პილოტებმა სხვა საქმეებშიც მოასწრეს თავის გამოჩენა






### კიმი რაიკონენი: რბოლა თოვლში

როგორ ემზადებოდით "ფერარის" ბოლიდით სადებიუტო რბოლისთვის? მელბურნში აკლიმატიზაციისთვის რამდენიმე დღით ადრე ჩახვედით? მაშინ თქვენ **კიმი რაიკონენი** არ ხართ. 2007 წლის "ფერარის" მოდელით პირველ რბოლამდე ერთი კვირით ადრე, რაიკონენი **ჯეიმს ჰანტის** ფსევდონიმით ფინეთში, თოვლმავლებით დაქროდა. ჰო მართლა, ავსტრალიაში სადებიუტო რბოლა სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.

### ფერნანდო ალონსო: ილუზიონისტი

**ალონსოს** მშობლები შვილის გატაცებას თავიდანვე იწონებდნენ და მას კარტის საჭესთან ჯდომის ნებას რთავდნენ. დაახლოებით ამავე პერიოდში, ბაბუამ შვილიშვილს პირველად აჩვენა ბანქოთი ფოკუსები. ფორმულაში ფერნანდომ ორი ტიტული მოიპოვა და ილუზიონისტობაშიც არანაკლებ წარმატებას მიაღწია.

*"აირჩიეთ ნებისმიერი ბანქო"*, - ბევრს უნახავს ესპანელის ხელების სიმარჯვე.

### ადრიან სუტილი: პიანისტი

ადრიანის მამა, ურუგვაელი **ხორხე** - მიუნხენის ფილარმონიის ორკესტრში ალტაზე უკრავდა, დედა **მონიკა** - პროფესიონალი პიანისტია. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ მათი ვაჟი ბავშობიდანვე ეზიარა კლასიკურ მუსიკას.

*"მშობლებს უნდოდათ, რომ პროფესიონალი პიანისტი გამოვსულიყავი და შესაბამისი განათლებაც მომცეს. მაგრამ 14 წლის ასაკში, ჩემთვის საუკეთესო მუსიკად კარტის მანქანების ძრავების ხმა იქცა"*.

### იარნო ტრული: მეღვინე

ბევრს უყვარს ღვინის სმა, **იარნოს** კი, მისი დაწურვა იზიდავს. 2000 წელს, იტალიელმა მშობლიური პესკარას ახლოს, Podere Castorani-ის ვენახები შეიძინა - 35 ჰექტარი. მის ვენახებში მოყვანილი ყურძნის გარდა, ტრული იტალიის სხვა რეგიონებიდან სხვა ჯიშებსაც ყიდულობს და 18 სახეობის ღვინოს აწარმოებს. შარშან, 600 ათასი ბოთლი გამოვიდა!

### ტიმო გლოკი: მემონტაჟე

გერმანელი პილოტი ალუმინის მილებისგან შემდგარი კონსტრუქციების მემონტაჟე იყო. ეს იმ დროს, როცა ტიმო გერმანულ F3-ში გამოდიოდა. ის ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით იმ კომპანიაში მუშაობდა, რომელიც სცენებს, ფიცარნაგებსა და სხვა დროებით კონსტრუქციებს აწყობდა.

*"მოხარული ვიქნები, თუ კარიერის დასრულების შემდეგ, ისევ ამ საქმიანობას დავუბრუნდები"* - აღიარა გლოკმა. *- დიდ პატივს ვცემ იმ ბიჭებს, რომლებიც მონტაჟზე მუშაობენ და საკუთარ ოჯახებს ამით არჩენენ. ქედს ვიხრი მათ წინაშე"*.

### ლუის ჰემილტონი: გიტარისტი

ლუისს ბევრი დაფარული ნიჭი აქვს: სკოლის საფეხბურთო გუნდში "ასტონ ვილას" ფეხბურთელის, **ეშლი იონგის** მეწყვილე იყო, შავი ქამარი აქვს კარატეში, მაგრამ მისი ბოლო სიყვარული - ელექტროგიტარაა.

თავის დროზე, **ჟაკ ვილნევი** რბოლიდან რბოლაზე გიტარით მოგზაურობდა, დღეს იგივეს ჰემილტონი აკეთებს. იქნებ მოგვიანებით, როცა ყველა ტიტული მოგებული იქნება, ბრიტანელმა ვილნევს მიბაძოს და სოლო-ალბომი გამოუშვას.

### ნიკო როსბერგი: უნიციკლისტი

პილოტები ხშირად საუბრობენ ბალანსზე და ამ დროს მხოლოდ მანქანის ბალანსს არ გულისხმობენ. პილოტმა ტრასაზე და ცხოვრებაშიც უნდა იცოდეს ბალანსირება, ასე რომ, მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ თავისუფალ დროს, ნიკოს უნიციკლზე - ერთბორბლიან ველოსიპედზე ამხედრებულს ხედავენ.

ტერმინი "ცირკი" ამ შემთხვევაში კიდევ იმიტომ არის გამართლებული, რომ უნიციკლზე ამხედრებულ როსბერგს სხვადასხვა საგნებით ჟონგლირებაც შეუძლია. ასე რომ, თუ გერმანელს კარიერაში კრიზისი ეწვევა, მას სხვანაირად შეუძლია პურის ფულის შოვნა. სხვათა შორის, უნიციკლზე ბედი **ლუის ჰემილტონმაც** სცადა, შესაბამისად, ძალიან წარმატებული შემოქმედებითი ტანდემის შექმნა შეიძლება - ორი ბორბალი ორისთვის.

### ჰეიკი კოვალაინენი: ვერტმფრენის პილოტი

ფინელს მფრინავის ლიცენზია გააჩნია და როცა მტურვალის ხელში დაჭერის საშუალება არ აქვს, სტიმულატორს მიმართავს ხოლმე - მას შესაბამისი პროგრამა საკუთარ კომპიუტერში აქვს ჩატვირთული.

რბოლისა და ფრენის შეხამება ძალიან სახიფათო საქმეა. ისევ ვილნევი გავიხსენოთ, ოღონდ მამა - **ჟილსაც** ჰქონდა მსგავსი ლიცენზია და ხუმრობაც უყვარდა. ვერტმფრენით მაღლა ადიოდა და ძრავას გამორთავდა ხოლმე. ბოლოს, როცა მიწამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა, ისევ აამუშავებდა ძრავას. თუმცა ჰეიკისთვის ასეთი სიგიჟე ჯერ არ შეუმჩნევიათ - ის უფრო გონიერი ადამიანი ჩანს.

**გია თვალაბეიშვილი**







